

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება

*2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თბილისი ენერჯის“ ხელმძღვანელობას და პარტნიორს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თბილისი ენერჯის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს. ჩვენ ამასთანავე შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.


- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ლელა მესაბლიშვილი (SARAS-A-672870)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2026 წლის 17 ივნისი

თბილისი, საქართველო

შპს „თბილისი ენერჯი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2025	2024
ამონაგები	5	503,640	486,662
ბუნებრივი გაზის თვითღირებულება		(327,513)	(315,527)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(47,168)	(39,623)
გაზის ტრანსპორტირების დანახარჯები		(13,422)	(13,053)
ცვეთა და ამორტიზაცია		(22,298)	(18,846)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ანარიცხი)/აღდგენა	8	(496)	554
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(23,645)	(21,461)
საოპერაციო მოგება		69,098	78,706
ფინანსური შემოსავალი	7	482	779
ფინანსური დანახარჯები	7	(8,426)	(11,123)
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი, წმინდა		(755)	(59)
სხვა შემოსავალი		1,131	739
სხვა ხარჯები		(1,025)	(410)
მოგება დაბეგვრამდე		60,505	68,632
მოგებიდან გადასახადები	15.3	(1,197)	(297)
წლის მოგება		59,308	68,335
წლის სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		59,308	68,335

ხელმოწერილი და უფლებამოსილია შპს „თბილისი ენერჯი“ სახელით 2026 წლის 17 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

მამუკა კობახიძე

ფინანსური დირექტორი

ბექან გურგენიძე

შპს „თბილისი ენერჯი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში


	შენიშვნა	2025	2024
ამონაგები	5	503,640	486,662
ბუნებრივი გაზის თვითღირებულება		(327,513)	(315,527)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(47,168)	(39,623)
გაზის ტრანსპორტირების დანახარჯები		(13,422)	(13,053)
ცვეთა და ამორტიზაცია		(22,298)	(18,846)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ანარიცხი)/აღდგენა	8	(496)	554
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(23,645)	(21,461)
საოპერაციო მოგება		69,098	78,706
ფინანსური შემოსავალი	7	482	779
ფინანსური დანახარჯები	7	(8,426)	(11,123)
საკუროსო სხვაობით განპირობებული ზარალი, წმინდა		(755)	(59)
სხვა შემოსავალი		1,131	739
სხვა ხარჯები		(1,025)	(410)
მოგება დაბეგვრამდე		60,505	68,632
მოგებიდან გადასახადები	15.3	(1,197)	(297)
წლის მოგება		59,308	68,335
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		59,308	68,335

ხელმოწერილი და უფლებამოსილია შპს „თბილისი ენერჯის“ სახელით 2026 წლის 17 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი


მამუკა კობახიძე

ფინანსური დირექტორი


ლევან გურგენიძე

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნა	2025	2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	283,187	250,138
არამატერიალური აქტივები		2,271	2,819
გრძელვადიანი აქტივებში გადახდილი ავანსები		2,066	–
აქტივების გამოყენების უფლება		1,013	1,320
სულ გრძელვადიანი აქტივები		288,537	254,277
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		1,428	1,657
სავაჭრო მოთხოვნები	8	84,692	88,772
გადახდილი ავანსი		172	1,022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	1,068	1,189
სულ მოკლევადიანი აქტივები		87,360	92,640
სულ აქტივები		375,897	346,917
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	–	–
გაუნაწილებელი მოგება		173,340	137,764
სულ საკუთარი კაპიტალი		173,340	137,764
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ფინანსური ვალდებულებები	14	37,388	53,973
ნასესხები სახსრები	14	3,450	–
ანარიცხები	13	6,597	9,525
საიჯარო ვალდებულებები		749	1,074
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		48,184	64,572
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	11	102,978	101,044
სახელფასო ვალდებულება		3,356	2,900
სახელშეკრულებო ვალდებულებები	12	20,114	17,284
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		5,422	4,187
ანარიცხები	13	3,694	3,431
საიჯარო ვალდებულებები		278	290
ნასესხები სახსრები	14	1,402	–
სხვა ფინანსური ვალდებულებები	14	17,129	15,445
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		154,373	144,581
სულ ვალდებულებები		202,557	209,153
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		375,897	346,917

შპს „თბილისი ენერჯი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	97,611	97,611
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	68,335	68,335
დივიდენდები (15.3 შენიშვნა)	–	(1,684)	(1,684)
სხვა ცვლილებები (15.2 შენიშვნა)	–	(26,498)	(26,498)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	–	137,764	137,764
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	59,308	59,308
დივიდენდები (15.3 შენიშვნა)	–	(6,785)	(6,785)
სხვა ცვლილებები (15.2 შენიშვნა)	–	(16,947)	(16,947)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს	–	173,340	173,340

შპს „თბილისი ენერჯი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2025	2024
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		60,505	68,632
დაბეგვრამდე მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების კორექტირება			
ძირითადი საშუალებებისთვის შექმნილი გაუფასურების აღდგენა		(202)	(236)
ცვეთა და ამორტიზაცია		22,298	18,846
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი	10	393	-
შემოსულობა ინვენტარიზაციისას გამოვლენილი მარაგებიდან		(604)	(181)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხები/(აღდგენა)	8	496	(554)
გადასახადებისა და გამოუყენებელი შვებულებისთვის შექმნილი ანარიცხები	13	1,551	1,663
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი/(შემოსულობა), წმინდა საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობებზე		670	(179)
ფინანსური შემოსავალი	7	(482)	(779)
ფინანსური დანახარჯები	7	8,426	11,123
საბრუნავი კაპიტალის კორექტირება			
ცვლილება მარაგებში		833	(202)
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		3,584	(16,556)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		850	(589)
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		4,852	19,750
ცვლილება სახელფასო ვალდებულებებში		456	275
ცვლილება სხვა ვალდებულებებში		-	(2,310)
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში, წმინდა		(2,981)	(4,472)
ცვლილება სახელშეკრულებო ვალდებულებებში		2,830	2,345
		103,475	96,576
გადახდილი მოგების გადასახადი	15.3	(1,197)	(297)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		102,278	96,279
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(58,784)	(49,992)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(883)	(1,418)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	5,963
მიღებული პროცენტი	7	482	779
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(59,185)	(44,668)
საფინანსო საქმიანობა			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	14	4,852	-
გადახდები მშობელი საწარმოს მიმართ	15.2	(16,947)	(26,498)
სხვა ფინანსური ვალდებულებების ძირის დაფარვა	14	(15,566)	(14,004)
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვა		(337)	(263)
გადახდილი პროცენტი	7,14	(8,426)	(10,553)
გადახდილი დივიდენდები	15.3	(6,785)	(1,684)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(43,209)	(53,002)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება		(116)	(1,391)
წმინდა საკურსო სხვაობები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(5)	(3)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	9	1,189	2,583
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	9	1,068	1,189

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები

2025 წელს ძირითადი საშუალებების შესყიდვაში შესული იყო შემდეგი არაფულადი მუხლები: 2,066 ლარის (2024 წ.: ნული) და 2,918 ლარის (2024 წ.: 11,098 ლარი) ოდენობით ცვლილება ავანსებსა და ვალდებულებებში გრძელვადიანი აქტივებისთვის, შესაბამისად.

5-28 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „თბილისი ენერჯი“ (შემდგომში „კომპანია“) (საიდენტიფიკაციო კოდი: 205129617) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო. შპს „თბილისი ენერჯის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ა.

2024 წლის 30 დეკემბერს შპს „თბილისი ენერჯიმ“ შეიძინა შპს „ვარკეთილარის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 206149522) 100%-იანი წილი. ეს შესყიდვა არ წარმოადგენდა საწარმოთა გაერთიანებას და აღირიცხა, როგორც აქტივის შეძენა. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა შპს „ვარკეთილარის“ ლიკვიდაცია.

კომპანია არის ბუნებრივი მონოპოლია თბილისში გაზის დისტრიბუციის ლიცენზიის საფუძველზე, რომელიც მასზე გასცა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში „სემეკი“). ლიცენზიის პირობების მიხედვით კომპანიამ აბონენტებისთვის ბუნებრივი გაზის უწყვეტი მიწოდება უნდა უზრუნველყოს. კომპანიის გასაყიდ ტარიფებს საყოფაცხოვრებო და სოციალური სექტორის მომხმარებლებისთვის სემეკი არეგულირებს.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-ის მფლობელი არის შპს „ვოლთბეი“ („მშობელი საწარმო“), რომელიც 2016 წლის 30 აგვისტოს დაფუძნდა მარშალის კუნძულებზე. 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშობელი საწარმოს 25%-იან წილს ფლობდა საქართველოს მოქალაქე ბატონი ხვიჩა მაქაცარია, 25%-ს - შპს „გაზტრანზიტი“, რომლის 100%-ს ფლობდა საქართველოს მოქალაქე ბატონი მამუკა ტოგონიძე, ხოლო დარჩენილ 50%-ს ფლობდა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „Weco Investment and Finance S.A.“. „Weco Investment and Finance S.A.“-ის 100%-ის მფლობელია შპს „HARRIMAN HOLDINGS“, რომელიც ასევე ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული. ამ კომპანიის ბენეფიციარი მფლობელია აზერბაიჯანის მოქალაქე ბატონი ნასიბ ჰასანოვი.

2. ფუნქციონირებადი საწარმო

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 67,013 ლარით (2024 წ.: 51,941 ლარი) აღემატებოდა. იმის შესაფასებლად, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის საქმიანობის უწყვეტობის დაშვება ზემოხსენებული გარემოებების ფონზე კვლავაც შეიძლებოდა თუ არა, ხელმძღვანელობამ შემდეგი ნაბიჯები გაითვალისწინა:

- ▶ სემეკი არეგულირებს კომუნალური მომსახურების ტარიფებს გაზომმარაგების სექტორში, პერიოდული მარეგულირებელი გეგმის საფუძველზე, რადგან მომავალი პერიოდების ტარიფები განისაზღვრება საპროგნოზო მოლოდინების (მათ შორის გაზის მოხმარება, კაპიტალური ინვესტიციები, გაზის და სხვა ხარჯების კომპონენტების ფასები) საფუძველზე. მოსალოდნელია, რომ მიმდინარე პერიოდში მიღებული ზედმეტი მოგება (ან ზარალი) დაკორექტირდება ტარიფების განსაზღვრის მომავალი პერიოდებისთვის. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ზარალი და ნეგატიური მოკლევადიანი აქტივები წარსულში უპირატესად წარმოიშობოდა განვლილ პერიოდებში მოქმედი ტარიფების არაადეკვატურობის მიზეზით. დღეისათვის კომპანიის გასაყიდი ტარიფების მნიშვნელოვანი ნაწილი რეგულირებულია, რაც კომპანიას საშუალებას არ აძლევს დააკორექტიროს გასაყიდი ფასი საშუალო შესყიდვის ტარიფის (აშშ დოლარში განსაზღვრული) ან გაყიდული საქონლის თვითღირებულების სხვა კომპონენტების ზრდის საპასუხოდ. აშშ დოლართან მიმართებით ლარის მნიშვნელოვანი გაუფასურების შედეგად, 2021 წლის 1 ივნისიდან სემეკმა 2021 წლის 27 მაისის №10 დადგენილებით გაზარდა სოციალური გაზის გასაყიდი ტარიფები (საშუალოდ 17-პროცენტიანი ზრდა). სემეკის №76 ბრძანების თანახმად, 2021 წელს დადგენილი სოციალური გაზის გაყიდვის ტარიფები უცვლელი დარჩა 2023 წელს სამწლიანი პერიოდისთვის 2026 წლის 1 იანვრამდე და მან უნდა აანაზღაუროს 2019 წლის 1 ოქტომბრიდან 2021 წლის 31 მაისამდე პერიოდში უცხოური ვალუტის მერყეობით კომპანიის მიერ მიღებული ზარალი;

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

- ▶ 2025 წლის განმავლობაში კომპანიამ დადებითი წმინდა შემოსავალი გამოიმუშავა 59,308 ლარის ოდენობით და დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები 102,278 ლარის ოდენობით, რომელიც 2024 წელთან შედარებით 6%-ით გაიზარდა;
- ▶ კომპანიის ამონაგები 2024 წელთან შედარებით 3%-ით გაიზარდა აბონენტების რაოდენობის და მოხმარების ზრდის გამო;
- ▶ კომპანიისთვის გაზის ფაქტობრივი ტექნიკური დანაკარგი 2024 წლის 3,72%-დან 2025 წელს 3,97%-მდე გაიზარდა. ხელმძღვანელობა საოპერაციო გაუმჯობესებების, ასევე კაპიტალური ინვესტიციის პროექტის დაგეგმვის პროცესშია ამ საკითხის შემდგომი განვითარების მიზნით და მოელის დანაკარგის განაკვეთის შემცირებას 2026 წელს;
- ▶ პარტნიორი მუდმივად აწარმოებს მოლაპარაკებებს საფინანსო დაწესებულებასთან: კონკრეტულად, წინა წლების განმავლობაში სესხების დაფარვის ვადა რამდენჯერმე შეიცვალა და მხარეების მიერ გაფორმებული ბოლო ხელშეკრულებით, დაფარვის ვადა 2029 წლის თებერვლამდე გახანგრძლივდა, რამდენიმე გადახდის გზით. 2025 წლის 31 დეკემბერს კომპანიამ ქართული საფინანსო დაწესებულებისგან მიიღო ახალი სესხი 1,800,000 აშშ დოლარის ოდენობით. სესხის დაფარვის თარიღია 2029 წლის 23 თებერვალი.

დღეის მდგომარეობით ყველა ოპერაცია ეფუძნება დაშვებას, რომ საქმიანობა უწყვეტად გაგრძელდება. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ საფუძველზე, რომ კომპანია დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და ჩვეული საქმიანობის პროცესში განახორციელებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ბუღალტრული აღრიცხვის ფასს სტანდარტების შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე და წარმოდგენილია ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტა, ვინაიდან ქართული ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. ყველა თანხა უახლოეს ათასამდეა დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული.

(ბ) ამონაგების აღიარება

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

კომპანია ამონაგებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალ თუ აგენტ მხარედ გამოდის. კომპანიამ დაასკვნა, რომ ის მოქმედებს პრინციპალის სახით ამონაგების მომტან გარიგებებში (რადგან ის, ჩვეულებრივ, აკონტროლებს საქონელს და მომსახურებას მათი მომხმარებლისთვის გადაცემამდე).

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) ამონაგების აღიარება (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის ამონაგებს:

(i) ბუნებრივი გაზის გაყიდვა

ბუნებრივი გაზის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, აბონენტებისთვის მიწოდებული გაზის ფაქტიური მოცულობების საფუძველზე. კომპანია ძირითადად მექანიკურ მრიცხველებს იყენებს, რაც საჭიროებს კომპანიის თანამშრომლების ადგილზე მისვლას ჩვენების შესამოწმებლად. მრიცხველის ჩვენება მოწმდება სისტემატურად, მინიმუმ თვეში ერთხელ, მაგრამ არა აუცილებლად ყოველი თვის ბოლო დღეს, რის გამოც გარკვეულ პერიოდებში ბუნებრივი გაზი მიწოდებულია, მაგრამ მასზე ქვითარი გამოწერილი ჯერ არ არის. მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, საანგარიშგებო ნებისმიერი თარიღისათვის კომპანიას რეალურად გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის გაზი, რომელზეც ჯერ არ არის წარდგენილი ქვითრები მომხმარებლებისთვის. ისეთი ამონაგების გაანგარიშება, რომლებიც კომპანიამ გამოიმუშავა, მაგრამ მათზე ქვითრები ჯერ არ წარუდგენია, დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ აფასებს ხელმძღვანელობა განსაზღვრულ თარიღამდე მიწოდებული გაზის მოცულობას, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დანაკარგებს საანგარიშგებო თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ ამონაგებსა და სავარაუდო ამონაგებს შორის, რომლებზეც ქვითრები ჯერ არ არის წარდგენილი, უმნიშვნელოა.

(ii) მომსახურების გაწევა

ამონაგები, რომლებიც უკავშირდება მომხმარებლებისთვის ტექნიკური და საინჟინრო ხასიათის მომსახურების გაწევას, ასევე კლიენტებისთვის გაზომმარაგების ქსელის გაყვანასა და კომპანიის ქსელთან მათ მიერთებას, როგორც წესი, მოკლევადიანი ხასიათის არის და მათი აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც გაიწევა მომსახურებები და შესაძლებელია საზღაურის მიღება. გაზიფიკაციის მომსახურების განხორციელების პერიოდი ჩვეულებრივ 12 თვეზე ნაკლებია.

(iii) ქსელთან მიერთების საფასური

სემეკის მიერ დადგენილი წესით, კომპანია გაზგამანაწილებელ ქსელთან მიერთებულ ახალ აბონენტებს მიერთების გარკვეულ გადასახადს აკისრებს. მიერთების საფასური გამოითვლება ახალი აბონენტების მიერთებაზე კომპანიის მიერ გაწეული საინვესტიციო დანახარჯების საფუძველზე და რეგულირდება სემეკის მიერ. ხელმძღვანელობა ამ მომსახურებას განიხილავს ცალკე ღირებულების შექმნად მომხმარებლისთვის და ამონაგებს აღიარებს ქსელთან მიერთების მომენტში.

(iv) განაწილება

ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფებს სემეკი განსაზღვრავს და შესაბამისი შემოსავალი აღიარდება კომპანიის ლიცენზიის ფარგლებში გაზგამანაწილებელი ქსელით განაწილებული ბუნებრივი გაზის მოცულობის საფუძველზე.

(გ) აქტივის ან აქტივების ჯგუფის შეძენა, რომელიც არ წარმოადგენს ბიზნესს

2024 წლის დეკემბერში კომპანიამ შეიძინა შპს „ვარკეთილარის“ 100% ნაღდი ფულით გადახდილი საზღაურის სანაცვლოდ. რადგან შეძენის დროს შპს „ვარკეთილარი“ არ აკმაყოფილებდა ბიზნესის განმარტებას, შესყიდვა არ ჩათვლილა საწარმოთა გაერთიანებად და აღირიცხა, როგორც აქტივის შეძენა. შესაბამისად, შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით შეფასდა შეძენის თარიღში და მათზე განაწილდა შესაბამისი თანხები, ნარჩენი გარიგების ფასი გადანაწილდა ერთ დარჩენილ არაფინანსურ აქტივების ჯგუფზე. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა შპს „ვარკეთილარის“ ლიკვიდაცია.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული საგადასახადო ვალდებულება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სხვა ხარჯებში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მათი გაწევის შემთხვევაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შემენის ღირებულებაში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მოთხოვნების ან ვალდებულებების ნაწილის მუხლში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია ყველა საგადასახადო ვალდებულებასთან და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(ი) ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება, როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია თავის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას საწყისი აღიარებისას განსაზღვრავს.

შემდგომი შეფასება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს და ფულად სახსრებს საკრედიტო დაწესებულებებში (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები - მე-4 შენიშვნა;
- ▶ სავაჭრო მოთხოვნები - მე-8 შენიშვნა;

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ყველა ფინანსურ აქტივზე.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი საპროგნოზო ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო დაწესებულებებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 120 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით, სესხები და ნასესხები სახსრები, ვალდებულებები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს, ვითარებიდან გამომდინარე.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხების, ნასესხები სახსრებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, აკლდება მათთვის პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები.

სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაში, რადგან სესხების სრული თანხა მხოლოდ მშობელმა საწარმომ მიიღო.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს, გადასახდელ ხელფასებს, სხვა ფინანსურ ვალდებულებებსა და ნასესხებ სახსრებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც ეს განხილულია ქვემოთ:

ნასესხები სახსრები, სხვა ფინანსური ვალდებულებები და სავაჭრო ვალდებულებები

საწყისი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები, სხვა ფინანსური ვალდებულებები და სავაჭრო ვალდებულებები შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური დანახარჯების ნაწილში.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

კომპანია არ ფლობს ბალანსში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული (დაუკორექტირებელი) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარზე;
- ▶ მე-2 დონე – შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ მე-3 დონე – შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების, ასევე ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ანალიზი და დამატებითი დეტალები მათი შეფასების მეთოდების შესახებ მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

(ვ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას.

კომპანია გაუფასურების დაანგარიშებისას ეყრდნობა დეტალურ საბიუჯეტო და საპროგნოზო დაანგარიშებებს. ეს საბიუჯეტო და საპროგნოზო დაანგარიშებები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდებისთვის, გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

განგრძობითი ოპერაციების გაუფასურების, მათ შორის მარაგების გაუფასურების ზარალი აღიარდება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯების კატეგორიებში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისი ხარჯების კატეგორიებში.

აქტივებისთვის ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღარ არსებობდეს ან შემცირებულია. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურების ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და/ან დაგროვილი გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. ამგვარი ხარჯი მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილის გამოცვლის ხარჯს და პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, კომპანია ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო მომსახურების ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექტირება, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. რემონტისა და ტექმომსახურების ყველა სხვა დანახარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე. პირდაპირ მიკუთვნებადი დანახარჯები მოიცავს ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სხვა შესაბამისი დეპარტამენტების თანამშრომლების მიერ გაწეულ პროფესიულ მომსახურებას.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები	50 წლამდე
მილსადენები	50 წლამდე
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	3-30 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სხვა	1-20 წელი

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და პერსპექტიულად კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში.

(თ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული მიმდინარე ანგარიშებისა და მოთხოვნამდე ანაზრებისგან, საწყისი დაფარვის სამთვლიანი ან ნაკლები ვადით, რომლებსაც ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი აქვთ.

(ი) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები

ხელფასები, წლიური შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას აქვს სამართლებრივი ვალდებულება, რომ თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებიდან და სხვა გასამრჯელოებიდან 2% სახელმწიფოს საპენსიო სააგენტოს ფონდში გადაიხადოს. კომპანია არ არის პასუხისმგებელი შრომითი საქმიანობის შემდგომ გასამრჯელოებზე. დასაქმებულთა გასამრჯელოები, რომლებიც არ წარმოადგენს აქტივის დანახარჯის ნაწილად აღიარების საგანს (როგორც არის ძირითადი საშუალებები) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

(ლ) საოპერაციო სეგმენტი

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი მთლიან კომპანიას აფასებს, როგორც ერთ საოპერაციო სეგმენტს - გაზომარაგების ბიზნესი. საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი კომპანიის შედეგებს აფასებს ამონაგების, დაბეგვრამდე მოგების და წმინდა მოგების საფუძველზე, რომლებიც ფასდება ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

3.1 ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის (თუ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული). კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

„ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ – ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში

2025 წლის 1 იანვრით ან მომდევნო პერიოდებისთვის დაწყებული ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის „ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ - ბასს (IAS) 21-ის „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“ ცვლილებებით დაკონკრეტდა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია.

ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.2 ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული:

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 18 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის აპრილის თვეში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს (IFRS) 18 ადგენს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ფარგლებში ინფორმაციის წარდგენის, მათ შორის ჯამებისა და ქვეჯამების მითითების ახალ მოთხოვნებს. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიკაცია ხუთ კატეგორიად: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, რომელთაგან პირველი სამი ახალია.

სტანდარტი მოითხოვს ახლად განსაზღვრული, ხელმძღვანელობის მიერ არჩეული, შესრულების მაჩვენებლების საზომების - შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამების გამჟღავნებას, ასევე ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირების და დეზაგრეგირების შესახებ, პირველად ფინანსურ ანგარიშგებასა და განმარტებით შენიშვნებში გამოვლენილი „როლების“ საფუძველზე.

ამასთან, მცირემასშტაბიანი ცვლილებები განხორციელდა ბასს (IAS) 7-ში („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“), რაც მოიცავს ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის ცვლილებას არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში, „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება-ზარალზე“; ასევე დივიდენდებიდან და პროცენტიდან ფულადი ნაკადების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული შერჩევითობის გაუქმებას. ამასთან, განხორციელდა რამდენიმე სხვა სტანდარტის შედეგობრივი ცვლილებები.

ფასს (IFRS) 18 და სხვა სტანდარტების ცვლილებები ძალაშია 2027 წლის 1 იანვრით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე მიღება, რაც აუცილებლად უნდა იყოს გაცხადებული. ფასს (IFRS) 18-ის გამოყენება რეტროსპექტულად მოხდება.

დღეისათვის კომპანია მუშაობს ყველა იმ შედეგის გამოვლენაზე, რასაც ცვლილებები იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებებზე ან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებზე.

სხვა სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული:

- ▶ ფასს (IFRS) 19 - „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები - (ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის);
- ▶ ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების შესწორებები - ფასს (IFRS) 9 და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები (ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის);
- ▶ ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესებები - *მე-11 ტომი* (ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის);
- ▶ „ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები“ - ფასს (IFRS) 9 და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები - (ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის).

მოსალოდნელი არ არის რომ ამ სტანდარტებს ან ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნებათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებასა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ასევე პირობითი ვალდებულებების შესახებ განმარტებითი შენიშვნაზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული განსჯები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

მშობელი საწარმოს სესხის აღიარება

კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულებები წილობრივი პასუხისმგებლობების მხარის სახით, მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხების დაფარვაზე. ხელმძღვანელობამ შეაფასა ამ სესხის ხელშეკრულებებში მონაწილეობა და გადაწყვიტა ყველა შემთხვევაში შეთანხმებაში მისი მონაწილეობის აღიარება სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (მე-14 შენიშვნა).

სხვა ფინანსური ვალდებულებების დასაფარად, კომპანია პირდაპირ იხდის თანხებს ბანკში, ან რიცხავს ფულს მშობელ საწარმოსთან, ამ უკანასკნელის მიერ ბანკში გადახდების განსახორციელებლად. ამასთან, დროდადრო კომპანია დამატებით თანხებს გასცემს მშობელ საწარმოზე. შემთხვევითი ყველა გადახდა სამართლებრივად ხორციელდება მშობელ საწარმოზე გაცემული სესხების ფორმით და შესაბამისად კომპანიას აძლევს მოთხოვნის იურიდიულ უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხები კვლავ რჩება მშობელი საწარმოს მიმართ სამართლებრივ მოთხოვნად, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, არ აღიაროს ისინი იმ ფაქტის გამო, რომ სესხები არ არის უზრუნველყოფილი. კომპანია არ ფლობს მშობელი საწარმოს მიერ სესხების დაფარვის უნარის მტკიცებულებას და მათი გაცემა და დაფარვა მშობელი საწარმოს გადაწყვეტილებას ეფუძნება. სხვა ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სესხის გაცემები აღირიცხება, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებების შემცირება, ხოლო დამატებითი გაცემები პირდაპირ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღირიცხება.

საკუთრების უფლება გაზსადენ ქსელზე

2014 წლის 31 ოქტომბერს სემეკმა დაამტკიცა დადგენილება №26, რომელიც ძალაში შევიდა „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ სემეკის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილების ცვლილების სახით. ამ დადგენილების მიხედვით, აბონენტის ტერიტორია განისაზღვრა, როგორც მომხმარებლის საკუთრებაში არსებული ტერიტორია. აბონენტის ტერიტორიის გარეთ („წითელი ხაზი“) მდებარე ყველა მასალა და აღჭურვილობა, გაზის მრიცხველების ჩათვლით, წარმოადგენს ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის მფლობელის საკუთრებას, მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად. კომპანია ახდენს ახალი მომხმარებლების ქსელთან მიერთებისთვის გაწეული კაპიტალური დანახარჯების იმ ნაწილის კაპიტალიზაციას, რომელიც გაიწია მომხმარებლის ტერიტორიის გარეთ, „წითელი ხაზის“ მიღმა. კომპანიის გადაწყვეტილებას „წითელი ხაზის“ მიღმა ჩატარებული ამგვარი სამუშაოების მოცულობაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კაპიტალური დანახარჯების ღირებულებაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გაცხადებულ ძირითად საშუალებებში.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

განსჯა (გაგრძელება)

დროში სხვაობა

ბუნებრივი გაზის გაყიდვის აღიარება ხდება აბონენტების მიერ მრიცხველის მიხედვით გაზის მოხმარების საფუძველზე. მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ნებისმიერი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანიას რეალურად გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის ბუნებრივი გაზი, რომელზეც არ არის წარდგენილი ქვითრები მომხმარებლებისთვის. ამონაგების გამოანგარიშება, რომლებიც კომპანიამ გამოიმუშავა, მაგრამ მათზე ქვითრები ჯერ არ წარუდგენია, დაფუძნებულია იმაზე თუ როგორ აფასებს ხელმძღვანელობა მიწოდებული გაზის მოცულობას, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დანაკარგებს საანგარიშგებო თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ ამონაგებსა და სავარაუდო ამონაგებს შორის, რომლებზეც ქვითრები ჯერ არ არის წარდგენილი, უმნიშვნელოა.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გაზის ახალი მომხმარებლის ქსელთან მიერთების შედეგად წარმოქმნილი ამონაგები არის ცალკე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი და მას აღიარებს გაზგამანაწილებელ ქსელთან მომხმარებლის მიერთებისას.

საწარმოთა გაერთიანების და აქტივების შეძენის შეფასება

2024 წლის 30 დეკემბერს კომპანიამ შეიძინა შპს „ვარკეთილარი“. ხელმძღვანელობამ შეაფასა, ეს შესყიდვა საწარმოთა გაერთიანებას წარმოადგენს ფასს (IFRS) 3-ის საფუძველზე, თუ აქტივის შეძენას. შეძენილი საქმიანობების და რესურსების ხასიათიდან გამომდინარე, და არსებითი პროცესების არარსებობის გამო, ოპერაცია აქტივის შესყიდვად აღირიცხა. ეს განმარტება მნიშვნელოვან განსჯას საჭიროებს.

შეძენილი საწარმო ძირითადად ფლობდა ერთ ქონებრივ აქტივს, მილსადენების სისტემას, თუმცა მას არ ჰქონია არსებითი პროცესები ან სამუშაო ძალა, რაც შეიძლება ბიზნესად ჩაითვალოს. ფასს (IFRS) 3-ის შესაბამისად, კომპანიამ გამოიყენა არასავალდებულო კონცენტრაციის ტესტი, რომელშიც განსაზღვრულია, რომ შეძენილი მთლიანი აქტივების თითქმის ყველა სამართლიანი ღირებულება ერთ იდენტიფიცირებად აქტივში - მილსადენების სისტემაში იყო კონცენტრირებული. შედეგად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ შესყიდვა არ წარმოადგენდა ბიზნესს და ოპერაცია აღრიცხა, როგორც აქტივის შეძენა.

შესაბამისად, გადახდილი საზღაური იდენტიფიცირებად შეძენილ წმინდა აქტივებზე გადანაწილდა, მათი შედარებითი სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე, ხოლო გუდვილი არ აღიარებულა. ამ შესყიდვაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები აღიარებულ იქნა აქტივის თვითღირებულების შემადგენელ ნაწილად (1-ლი შენიშვნა, მე-3 შენიშვნა, მე-10 შენიშვნა).

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, განხილულია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით გაკეთებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში მომხდარი ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც კომპანიის კონტროლს არ ექვემდებარება. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიზი

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ წარმოიშვა გაუფასურების ზარალი ან მოსალოდნელია ნეგატიური ცვლილება საპროგნოზო ინფორმაციაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება სარეზერვო ანგარიშის გამოყენების გზით, ხოლო ზარალის ოდენობა აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯში. ხელმძღვანელობამ 11,397 ლარი (2024 წ.: 10,901 ლარი) სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შესაძლო ზარალის საუკეთესო შეფასებად განსაზღვრა (მე-8 შენიშვნა).

5. ამონაგები

	2025	2024
ბუნებრივი გაზის გაყიდვა	469,259	458,789
მიერთება, ინსტალაცია და სარემონტო სამუშაოები	32,142	25,261
ამონაგები გაზის ტრანზიტადან	1,398	1,647
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	502,799	485,697
გაზის მრიცხველების გაყიდვა	25	38
სხვა საოპერაციო ამონაგები	816	927
სულ ამონაგები	503,640	486,662

კომპანიამ აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	2025	2024
სავაჭრო მოთხოვნები (მე-8 შენიშვნა)	84,692	88,772
სახელშეკრულებო ვალდებულებები (მე-12 შენიშვნა)	20,114	17,284

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. სავაჭრო მოთხოვნები ღარშია გამოხატული. სავაჭრო მოთხოვნები უპროცენტოა.

სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოადგენს მომხმარებლებისგან მიღებულ საზღაურს და კომპანიის ვალდებულებას ბუნებრივი გაზი მიაწოდოს და გაზიფიკაციის მომსახურება გაუწიოს თავის აბონენტებს. 2025 წელს კომპანიამ აღიარა 17,284 ლარის (2024 წ.: 14,939 ლარი) ოდენობით ამონაგები, რომელიც შესული იყო სახელშეკრულებო ვალდებულებებში საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2025	2024
მიერთება, ინსტალაცია და სარემონტო მომსახურებები	6,400	5,298
გადასახადები	4,256	4,122
პროფესიული მომსახურებები (ა)	2,913	1,964
საოფისე ხარჯები	1,975	2,303
ბუნებრივი გაზის რეგულირების მოსაკრებელი	1,703	1,402
გამოყენებული მასალები	1,520	1,340
საწვავის ხარჯები	1,279	1,291
რემონტი და ტექმომსახურება	1,107	988
საკომუნიკაციო ხარჯები	875	792
სადაზღვევო ხარჯები	420	337
კომუნალური ხარჯები	340	301
საბანკო მომსახურების ხარჯები და საკომისიოები	65	45
სხვა	792	1,278
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	23,645	21,461

(ა) კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფასური (დღგ-ის გამოკლებით) 158 ლარს (2024 წ.: 157 ლარი) შეადგენდა. სხვა აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმებისთვის სხვა პროფესიულ მომსახურებებთან დაკავშირებული მთლიანი გასამრჯელო და ხარჯები ნულ ლარს (2024 წ.: 39 ლარი) შეადგენდა, დღგ-ის გამოკლებით.

7. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯი

	2025	2024
ფინანსური შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე	482	779
	482	779
ფინანსური დანახარჯები		
საპროცენტო ხარჯი სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე (მე-14 შენიშვნა)	8,294	10,394
საპროცენტო ხარჯი სხვა ვალდებულებებზე	–	570
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	132	159
	8,426	11,123

8. სავაჭრო მოთხოვნები

	2025	2024
სავაჭრო მოთხოვნები გაზის გაყიდვიდან	92,410	95,601
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებებიდან	3,679	4,072
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(11,397)	(10,901)
სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	84,692	88,772

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება, ჩვეულებრივ 17-დღიანი ვადა აქვთ და ლარშია გამოხატული.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია მოძრაობა სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში:

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი
2024 წლის 1 იანვარი	11,455
ანარიცხების აღდგენა	(554)
2024 წლის 31 დეკემბერი	10,901
გაკეთებული ანარიცხები	496
2025 წლის 31 დეკემბერი	11,397

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებში ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

	სავაჭრო მოთხოვნები					
		ვადაგადაცილებული დღეები				
2025 წლის 31 დეკემბერი	მიმდინარე	<30 დღე	30–90 დღე	91–120 დღე	>120 დღე	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	1%	5%	10%	20%	100%	12%
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	84,478	649	205	103	10,654	96,089
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(669)	(32)	(21)	(21)	(10,654)	(11,397)

	სავაჭრო მოთხოვნები					
		ვადაგადაცილებული დღეები				
2024 წლის 31 დეკემბერი	მიმდინარე	<30 დღე	30–90 დღე	91–120 დღე	>120 დღე	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	1%	5%	10%	20%	100%	11%
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	87,741	1,034	201	188	10,509	99,673
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(282)	(52)	(20)	(38)	(10,509)	(10,901)

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან შედგებოდა. კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებს რეზიდენტ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე. მიმდინარე ანგარიშებზე საპროცენტო შემოსავალმა 482 ლარი (2024 წ.: 779 ლარი) შეადგინა.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მილსადენები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,209	243,314	5,104	42,772	11,159	8,459	312,017
შემოსვლები	–	–	–	12,115	1,812	47,163	61,090
შიდა გადატანები	–	40,841	506	31	–	(41,378)	–
გასვლები	–	(282)	–	(417)	(254)	(5,759)	(6,712)
აღდგენა (ა)	–	–	–	–	–	236	236
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის	1,209	283,873	5,610	54,501	12,717	8,721	366,631
შემოსვლები	200	–	–	7,037	1,486	45,077	53,800
შიდა გადატანები	–	43,460	3,138	–	–	(46,598)	–
გასვლები	–	(268)	–	(704)	(125)	–	(1,097)
აღდგენა (ა)	–	–	–	–	–	202	202
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის	1,409	327,065	8,748	60,834	14,078	7,402	419,536
დაგროვილი ცვეთა							
2024 წლის 1 იანვარს	–	80,090	1,116	13,462	5,542	–	100,210
წლის დანარიცხი	–	10,076	160	5,690	1,106	–	17,032
გასვლები	–	(183)	–	(351)	(215)	–	(749)
2024 წლის 31 დეკემბრის	–	89,983	1,276	18,801	6,433	–	116,493
წლის დანარიცხი	–	12,089	187	7,246	1,038	–	20,560
გასვლები	–	(175)	–	(422)	(107)	–	(704)
2025 წლის 31 დეკემბრის	–	101,897	1,463	25,625	7,364	–	136,349
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2024 წლის 31 დეკემბრის	1,209	193,890	4,334	35,700	6,284	8,721	250,138
2025 წლის 31 დეკემბრის	1,409	225,168	7,285	35,209	6,714	7,402	283,187

- (ა) ყოველ საანგარიშგებო პერიოდში ხელმძღვანელობა აფასებს მოძველებული ხომ არ არის საწყობში დაცული მარაგი. ამ შედეგებზე დაყრდნობით, კომპანიამ დარიცხა გაუფასურების ხარჯი დაუმთავრებელი მშენებლობის მუხლებისთვის, რომლისთვისაც კომპანიას მიტოვებული აქვს დასრულების გეგმები ან აუქმებს იმ მუხლების შექმნი გაუფასურების ხარჯს, რომლებიც წლის განმავლობაში გამოყენებული და გადატანილი იყო მილსადენებში. შესაბამისად, 2025 წელს კომპანიამ აღრიცხა 202 ლარის ოდენობით გაუფასურების აღდგენა (2024 წ.: 236 ლარის აღდგენა) დაუმთავრებელ მშენებლობაზე.
- (ბ) 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები დაგირავებული იყო ქართული კომერციული ბანკიდან მშობელი საწარმოს მიერ მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით (მე-14 შენიშვნა).

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. სავაჭრო ვალდებულებები

	2025	2024
შესყიდულ გაზთან დაკავშირებული ვალდებულება	86,853	81,918
კაპიტალურ ინვესტიციებთან დაკავშირებული ვალდებულება (ა)	13,531	16,449
მოწოდებულ მასალებში გადასახდელი თანხები	1,527	1,648
საკონსულტაციო და სხვა მომსახურებებში გადასახდელი თანხები	933	603
სხვა ვალდებულებები	134	426
სულ სავაჭრო ვალდებულებები	102,978	101,044

(ა) კაპიტალში ინვესტიციების ვალდებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს 9,736 ლარის ოდენობით ვალდებულებას შპს „ვარკეთილაირის“ ყოფილი მფლობელების მიმართ, 100%-იანი წილის შესაძენად. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულება სრულად დაფარულია.

12. სახელშეკრულებო ვალდებულებები

	2025	2024
მომსახურებებზე მიღებული ავანსები	14,253	12,434
გაზის მიწოდებაში გადახდილი ავანსები	5,861	4,850
სულ სახელშეკრულებო ვალდებულებები	20,114	17,284

13. ანარიცხები

	სხვა ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადასახადები	გამოყენებული შვებულება	სულ
2024 წლის 1 იანვარს	14,749	890	15,639
დარიცხვა საკუთარ კაპიტალში	3,602	–	3,602
დარიცხვა მოგებასა და ზარალში	1,802	–	1,802
გამოყენებული და საგადასახადო ვალდებულებაში გადატანილი	(7,948)	–	(7,948)
აღდგენა წლის განმავლობაში	–	(139)	(139)
2024 წლის 31 დეკემბერს	12,205	751	12,956
დარიცხვა საკუთარ კაპიტალში	2,551	–	2,551
დარიცხვა მოგებასა და ზარალში	1,581	–	1,581
გამოყენებული და საგადასახადო ვალდებულებაში გადატანილი	(6,767)	–	(6,767)
აღდგენა წლის განმავლობაში	–	(30)	(30)
2025 წლის 31 დეკემბერს	9,570	721	10,291

14. სხვა ფინანსური ვალდებულებები და ნასესხები სახსრები

2019 წლის განმავლობაში მშობელმა საწარმომ მიიღო რამდენიმე სესხი ქართული კომერციული ბანკისგან. კომპანია ამ ვალდებულებას ფარავს მშობელი საწარმოს ნაცლად, პირდაპირ ბანკში ან მშობელი საწარმოს საბანკო ანგარიშიდან. მიუხედავად იმისა, რომ თანხები კვლავ მისაღებია მშობელი საწარმოსგან, კომპანია არ აღიარებს აქტივებს თავისი სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე. კომპანიის ძირითადი საშუალებები დაგირავებულია ხსენებული სესხების უზრუნველყოფის სახით. სესხები წარდგენილია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. სხვა ფინანსური ვალდებულებები და ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია სხვა ფინანსური ვალდებულებები შესაბამისი პერიოდის ბოლოსთვის:

	ვალუტა	2025	2024
		ლარში	ლარში
სესხი 1	ლარი	9,545	11,938
სესხი 2	ლარი	12,418	16,052
სესხი 3	ლარი	5,166	6,461
სესხი 4	ევრო	7,387	8,862
სესხი 5	ლარი	20,001	26,105
სულ		54,517	69,418
გრძელვადიანი წილი		37,388	53,973
მოკლევადიანი წილი		17,129	15,445

2025 წლის 31 დეკემბერს კომპანიამ ქართული კომერციული ბანკისგან მიიღო სესხი 1,800,000 აშშ დოლარის ოდენობით. სესხის ფიქსირებული განაკვეთია 9,5%, ხოლო მისი დაფარვის თარიღია 2029 წლის 23 თებერვალი. ხელშეკრულების თანახმად საპროცენტო განაკვეთი შეიცვლება 2026 წლის 31 დეკემბრიდან და გახდება 6.5%, რასაც SOFR (უზრუნველყოფილი ერთდღიანი დაფინანსების განაკვეთი) დაემატება. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სესხი წარდგენილია, როგორც ნასესხები სახსრები და ის ფინანსური და არაფინანსური კოვენანტების საგანს წარმოადგენს. ფინანსური კოვენანტები მოიცავს ვალდებულებების EBITDA-სთან (შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე) ფარდობის კოეფიციენტს, სესხის მომსახურების კოეფიციენტს, საპროცენტო ხარჯების დაფარვის კოეფიციენტს და განვითარების მიზნით კაპიტალური დანახარჯების მინიმალურ დონეს. სესხის პირობების ანალიზი საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში მოხდა. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირობები დარღვეული არ იყო და კომპანია არ ელოდება რაიმე არსებით სირთულეებს მომავალი კოვენანტების შესრულებასთან დაკავშირებით მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან.

	ვალუტა	2025	2024
		ლარში	ლარში
სესხი კომერციული ბანკისგან	აშშ დოლარი	4,852	–
სულ		4,852	–
გრძელვადიანი წილი		3,450	–
მოკლევადიანი წილი		1,402	–

ცვლილება სხვა ფინანსურ ვალდებულებებსა და ნასესხებ სახსრებში

	სხვა ფინანსური ვალდებულებები	ნასესხები სახსრები	სულ
2024 წლის 1 იანვარი	83,604	–	83,604
ფინანსური დანახარჯები	10,394	–	10,394
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა	(182)	–	(182)
პროცენტის დაფარვა	(10,394)	–	(10,394)
ძირი თანხის დაფარვა	(14,004)	–	(14,004)
2024 წლის 31 დეკემბერი	69,418	–	69,418
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	–	4,852	4,852
ფინანსური დანახარჯები	8,294	–	8,294
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი, წმინდა	665	–	665
პროცენტის დაფარვა	(8,294)	–	(8,294)
ძირი თანხის დაფარვა	(15,566)	–	(15,566)
2025 წლის 31 დეკემბერი	54,517	4,852	59,369

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. საკუთარი კაპიტალი

15.1 საწესდებო კაპიტალი

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი 0.2 ლარით განისაზღვრა, რომელიც ნულამდე დამრგვალდა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის და მის 100%-ს ფლობს შპს „ვოლთბეი“.

15.2 სხვა ცვლილებები

2025 წელს კომპანიამ დამატებით გასცა 16,947 ლარი (2024 წ.: 26,498 ლარი), დაკავშირებულ გადასახადებთან ერთად, რომელიც სამართლებრივად განისაზღვრა, როგორც არაუზრუნველყოფილი სასესხო მოთხოვნა მშობელი საწარმოს მიმართ და აისახა პირდაპირ საკუთარ კაპიტალში კომპანიის სააღრიცხვო განსჯის შესაბამისად (მე-4 შენიშვნა).

15.3 დივიდენდები

2025 წლის განმავლობაში კომპანიამ მშობელ საწარმოზე გაანაწილა 6,785 ლარის (2024 წ.: 1,684 ლარი) ოდენობით დივიდენდები დაკავშირებულ გადასახადთან ერთად. კომპანიამ გადაიხადა მოგების გადასახადი განაწილებულ დივიდენდზე 1,197 ლარის (2024 წ.: 297 ლარი) ოდენობით.

16. პირობითი ვალდებულებები

16.1 ქონებრივი უფლება - მილსადენის ქსელები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უძრავი ქონების, მათ შორის მილსადენების ქსელების გადაცემა საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, რომ მყიდველი კანონიერი მესაკუთრე გახდეს. 2006 წელს კომპანიამ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმო „თბილგაზისგან“ შეიძინა თბილისის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელი. უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია მოითხოვს მთელი რიგი დოკუმენტების, მათ შორის ტექნიკური დოკუმენტაციის და ქონების საკადასტრო ნახაზის წარდგენას.

უნდა აღინიშნოს, რომ „თბილგაზის“ ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელი არ იყო რეგისტრირებული და შესაბამისად შეუძლებელი იყო ამ ქსელის კომპანიის სახელზე რეგისტრაცია, თუმცა „თბილგაზთან“ გაფორმდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და კომპანიასა და „თბილგაზს“ შორის ასევე გაფორმდა ოფიციალური მიღება-ჩაბარების აქტი.

ეს არ არის უჩვეულო ვითარება საქართველოში მომუშავე კომუნალური მომსახურების კომპანიებისთვის. საკომუნიკაციო ქსელების უმრავლესობა საბჭოთა კავშირის პერიოდში აშენდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდის დოკუმენტაცია შედარებით მისაღებ დონეზე იყო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 10-დან 15 წლამდე პერიოდი ხასიათდებოდა კორპორაციული მმართველობის და ანგარიშვალდებულების ნაკლებობით. ამ პერიოდის განმავლობაში ახლად აშენებული აქტივები არ იყო სათანადოდ დოკუმენტირებული და ძველი დოკუმენტები ხშირად იკარგებოდა. შედეგად, პრივატიზაციის პროცესში საკომუნიკაციო ქსელებზე ქონებრივი უფლება გადაეცემოდა ინვესტორებს, მეტწილად რეგისტრაციის გარეშე. შემომავალი ინვესტორების ამოცანა იყო ჩაეტარებინათ აქტივების ინვენტარიზაცია, მოემზადებინათ საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია, მათ შორის ტექნიკური ნახაზები და დაერეგისტრირებინათ აქტივები.

ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება კომპანიის მთლიანი აქტივების ბაზისთვის წარმოადგენს კომპლექსურ მოქმედებას, რომელიც მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს საჭიროებს. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ თავისი გაზგამანაწილებელი ქსელის რეგისტრაციის პროცესის დასრულებამდე, მას აქვს ყველა სახის სამართლებრივი უფლება ამუშაოს ქსელი და აქტივები მიიჩნიოს თავის საკუთრებად „თბილგაზთან“ გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე.

რეგისტრაციის პროცესში შესაძლოა საჭირო გახდეს კონკრეტული ცვლილებების განხორციელება კომპანიის ძირითადი საშუალებების რეესტრში, თუმცა ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შეუძლებელია ამგვარი შესაძლო ცვლილებების რაოდენობრივად განსაზღვრა და, შესაბამისად, ისინი არ ასახულა ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

16.2 ქონებრივი უფლება - მიწა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს კონკრეტულ მითითებებს ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა ზედაპირზე და წიაღშიც კომპანიის გაზგამანაწილებელი აღჭურვილობაა განლაგებული. კომპანიის აქტივების დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირის დროს შეიქმნა, როდესაც კერძო საკუთრება არ არსებობდა. პრივატიზაციის პროცესში მიწისქვეშა და მიწისზედა საკომუნიკაციო ქსელებთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები არ ექვემდებარებოდა კონკრეტულ განხილვებს.

კომპანია თავის ქსელურ ობიექტებზე წვდომისათვის სარგებლობს მიწის ნაკვეთებით, რომლებიც სხვა მხარეების საკუთრებაა, რაც წარმოშობს სერვიტუტის ურთიერთობებს მიწის მფლობელთან, თუმცა კომპანიას რიც შემთხვევებში არ აქვს გაფორმებული ოფიციალური შეთანხმებები, განსაკუთრებით წინა პერიოდებში შექმნილ აქტივებთან დაკავშირებით.

მიწის საკუთრების უფლებები გაურკვეველია ძირითადად საბჭოთა კავშირის დროინდელ აქტივებთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, ის ფაქტი, რომ მიწის ამჟამინდელი მფლობელები არ აპროტესტებენ მათი მიწის ნაკვეთებზე კომპანიის ინფრასტრუქტურის არსებობას უნდა ჩაითვალოს მათი მხრიდან არსებული ურთიერთობის დღევანდელი ფორმის მიღებად, რომელსაც იურიდიული ძალა აქვს. თუმცა, კანონის შემდგომი დაზუსტების შემთხვევაში, კომპანიას შეიძლება მოუწიოს მიწის გარკვეულ ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მოპოვება ან იჯარის გადახდა სხვა მხარეებისათვის მიწის გარკვეული ნაკვეთებით სარგებლობის სანაცვლოდ. საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე სწრაფად ცვალებადი სიტუაცია იმაზე მიანიშნებს, რომ სერვიტუტის უფლებებთან დაკავშირებული მომსახურებისთვის კომპანიას შეიძლება დაეკისროს გადახდები, როგორც მიმდინარე, ისე წინა პერიოდებისთვის.

ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შეუძლებელია რაიმე დამატებითი ხარჯის გამოანგარიშება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება კომპანიას დაეკისროს ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე და, შესაბამისად, არ არის შექმნილი ანარიცხები ასეთი პოტენციური ვალდებულებებისთვის.

16.3 საინვესტიციო ვალდებულებები

სემკის მიერ დამტკიცებული საინვესტიციო გეგმის საფუძველზე, კომპანიას აქვს 2025-2029 წლებში 82,007 ლარის ოდენობით კაპიტალური დანახარჯების ინვესტირების ვალდებულება. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ვალდებულებას შეასრულებს.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები

17.1 საოპერაციო გარიგებები

ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეთა საოპერაციო საქმიანობებიდან მშობელი საწარმოს კონტროლს ქვეშ მყოფი საწარმოები	ამონაგები	ხარჯები	მოთხოვნები	ვალდებულებები
2025				
შპს „Cellfie Mobile“	15	4	11	–
სხვა დაკავშირებული მხარე	–	231	5	22
2024				
შპს „Cellfie Mobile“	15	4	–	–
სხვა დაკავშირებული მხარე	–	192	–	20

2025 წელს კომპანიამ დამატებით გასცა 16,947 ლარი (2024 წ.: 26,498 ლარი), დაკავშირებულ გადასახადებთან ერთად, რომელიც სამართლებრივად განისაზღვრა, როგორც არაუზრუნველყოფილი სასესხო მოთხოვნა მშობელი საწარმოს მიმართ. (15.2 შენიშვნა)

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, სხვა დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები მოიცავდა მშობელ საწარმოზე განაწილებულ დივიდენდს (15.3 შენიშვნა) 6,785 ლარის (2024 წ.: 1,684 ლარი) ოდენობით, მშობელ საწარმოსთან დაკავშირებულ გადასახადთან ერთად.

17.2 უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის (წარმოდგენილი გენერალური დირექტორის და ფინანსური დირექტორის სახით) მთლიანი ანაზღაურება 2025 წელს შედგებოდა 422 ლარის (2024 წ.: 422 ლარი) ოდენობით დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოებისა და 133 ლარის (2024 წ.: 85 ლარი) ოდენობით პრემიებისგან.

18. რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგებოდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებების, გადასახდელი ხელფასების, საიჯარო ვალდებულებების, ნასესხები სახსრებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებებისგან.

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი ძირითადი რისკებია საკრედიტო რისკი, უცხოური ვალუტის რისკი და ლიკვიდობის რისკი. კომპანიას ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკების კონტროლის პოლიტიკა არ აქვს, გარდა საკრედიტო და ლიკვიდობის რისკებისა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაქტენტი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიაღებდა. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად, სავაჭრო მოთხოვნების გამო) და საფინანსო საქმიანობის ნაწილში, მათ შორის ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშებზე.

საკრედიტო რისკი, ანუ რისკი იმისა, რომ კონტრაქტენტი დავალიანებას ვერ დაფარავს, ძირითადად კონტროლდება ურჩი აბონენტებისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების დროულად შეწყვეტით. კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობას წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნების და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთი 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი ანარიცხით შემცირებული სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი ყველაზე ზუსტად ასახავს იმ სავაჭრო მოთხოვნების მოცულობას, რომლის ამოღებაც მოსალოდნელია.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც განთავსებულია ფულადი სახსრები.

კომპანია აბონენტებს ქსელიდან თიშავს, როდესაც მათი დავალიანება 17-ზე მეტი დღით ხდება ვადაგადაცილებული. შესაბამისად, კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები თითქმის მთლიანად ამოღებადია.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის ცვლილების გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი უცხოური ვალუტების კურსების მერყეობა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია კომპანიის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა ევროსა და აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების გამო).

		სავალუტო კურსის ზრდა/(კლება), %	ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე	
2025	ევრო	-2% / 8.78%	148	(649)
2025	აშშ დოლარი	-3.45%/7.61%	190	(418)
2024	ევრო	-2% / 8.42%	177	(745)

ლიკვიდობის რისკი

კომპანია ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გასვლის და შემოსვლის ანალიზით ერთ თვეზე ნაკლები, ერთიდან სამ თვემდე, სამი თვიდან ერთ წლამდე, ერთიდან ხუთ წლამდე და 5 წელზე მეტი პერიოდებისთვის.

კომპანია თავისი ფულადი სახსრების დანაკლისის რისკს აკონტროლებს წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანების მაჩვენებლების რეგულარული გადამოწმებით. წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანება წარმოადგენს მოხმარებული ბუნებრივი გაზისთვის წინა პერიოდებში დარიცხული დავალიანებით შემცირებულ მთლიან მოკლევადიან ვალდებულებებსა და მოკლევადიან აქტივებს შორის სხვაობას. მე-2 შენიშვნაში მოცემულია კომპანიის წინაშე მდგარი ლიკვიდობის რისკები და ხელმძღვანელობის დეტალური გეგმები მათ მართვასთან დაკავშირებით.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე.

2025 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო		მოთხოვნამდე	0-1 თვე	1-3 თვე	3-12 თვე	1-5 წელი	>5 წელი
		ფულადი ნაკადები	მითხოვანამდე						
სავაჭრო ვალდებულებები	102,978	102,978	–	102,978	–	–	–	–	–
ვალდებულებები დასაქმებულ პირთა მიმართ	3,356	3,356	–	3,356	–	–	–	–	–
საიჯარო ვალდებულებები	1,027	1,376	–	34	68	308	822	144	–
სხვა ფინანსური ვალდებულებები	54,517	65,702	–	2,849	5,731	14,742	42,380	–	–
ნასესხები სახსრები	4,852	5,607	–	207	412	1,144	3,844	–	–
	166,730	179,019	–	109,424	6,211	16,194	47,046	144	–

2024 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო		მოთხოვნამდე	0-1 თვე	1-3 თვე	3-12 თვე	1-5 წელი	>5 წელი
		ფულადი ნაკადები	მითხოვანამდე						
სავაჭრო ვალდებულებები	101,044	101,044	–	99,781	1,263	–	–	–	–
ვალდებულებები დასაქმებულ პირთა მიმართ	2,900	2,900	–	2,900	–	–	–	–	–
საიჯარო ვალდებულებები	1,364	1,787	–	34	69	309	1,186	189	–
სხვა ფინანსური ვალდებულებები	69,418	88,842	–	2,797	5,620	15,373	65,052	–	–
	174,726	194,573	–	105,512	6,952	15,682	66,238	189	–

სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება საანგარიშგებო თარიღისთვის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო, სხვა ფინანსური ვალდებულებების გარდა. კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებაა 55,681 ლარი (2024 წ.: 71,859 ლარი). ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც ფასდება ან გაცხადდება, იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება.

საოპერაციო რისკის მართვა

ზემოთ მოცემული თავების შესაბამისად, კომპანიის მიერ სოციალურ სექტორზე დარიცხულ ტარიფებს სემეკი არეგულირებს. სოციალურ სექტორზე გაყიდვებმა კომპანიის 2025 წლის გაყიდვების 64,93% შეადგინა (2024 წ.: 63,93%). იმის გათვალისწინებით, რომ ბუნებრივი გაზის შესყიდვის ფასები აშშ დოლარში განისაზღვრება, ხოლო გასაყიდი ტარიფი ლარში, ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის მერყეობა სერიოზულ საოპერაციო რისკს უქმნის კომპანიას.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

19. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2026 წლის 20 თებერვალს კომპანიამ მიიღო ახალი საკრედიტო ხაზი ქართული კომერციული ბანკისგან 6,200,000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის დაფარვის თარიღია 2029 წლის 20 აპრილი, ხოლო ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთია 8.8% 2027 წლის თებერვლამდე. ამ თარიღის შემდეგ საპროცენტო განაკვეთი გახდება 6.3%, რასაც SOFR (უზრუნველყოფილი ერთდღიანი დაფინანსების განაკვეთი) დაემატება. ამ სესხზე იგივე კოვენანტები ვრცელდება, რაც 2025 წლის 31 დეკემბერს აღებულ სესხზე (მე-14 შენიშვნა). საანგარიშგებო თარიღის შემდეგ და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე კომპანიამ სრულად აითვისა ეს საკრედიტო ხაზი.

2026 წლის განმავლობაში, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე, კომპანიამ გადაიხადა 16,232 ლარი, შესაბამისი გადასახადების ჩათვლით, სხვა ფინანსური ვალდებულებების დასაფარად (მე-14 შენიშვნა) და დამატებით გასცა 5,240 ლარი, შესაბამისი გადასახადების ჩათვლით, მშობელ საწარმოზე, რაც აისახა პირდაპირ საკუთარ კაპიტალში (15.2 შენიშვნა).

2026 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და მშობელ საწარმოზე გაანაწილა 16,655 ლარის ოდენობით დივიდენდები.

2026 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი ორწლიანი ტარიფის ციკლი, ამასთან სემეკმა უცვლელი დატოვა გაზის მოხმარების ძველი ტარიფი.

შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება

2025 წელს გაწეული სამუშაოს

შედეგების მიხედვით

შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება

შინაარსი

I.	ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	3
II.	სტრუქტურა.....	4
III.	2022-2025 წლების სტატისტიკა	5
	ცხრილი #1 შესყიდული გაზის მოცულობები.....	5
	ცხრილი #2: აბონენტების რაოდენობა	5
	ცხრილი #3: მომხმარებლების ზრდის დინამიკა 2022-2025 წლებში.....	6
IV.	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა	6
	თანამშრომელთა განვითარებასა და მომსახურების ხარისხზე ზრუნვა.....	7
	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტების დასაცავად გატარებული ღონისძიებები	14
V.	პროგრამული უზრუნველყოფა.....	17
VI.	2026 წლის გეგმები და რისკები	18
	2026 წლის ინვესტიციები	18
	ტექნიკური მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები	18
	ადმინისტრაციული მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები	18
	კომერციული მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები.....	20
	პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები	21
	სავალუტო რისკი	21
VII.	ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2024-2025 წლებში	22
	ცხრილი #4: სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	22

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

I. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „თბილისი ენერჯი“ („კომპანია“) საქმიანობის ძირითადი საგანია ქ. თბილისის მომხმარებელთა უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო გაზომომარაგება შესაბამისი ანაზღაურების პირობით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის („სემეკი“) მხრიდან კომპანიას მინიჭებული აქვს ლიცენზია, რომლის პირობების მიხედვითაც კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს აბონენტებისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდება. სოციალური გაზის ტარიფები რეგულირდება „სემეკის“ მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის 18 ა.

2019 წლიდან კომპანიის გენერალური დირექტორის პოზიციას იკავებს მამუკა კობახიძე.

მამუკა კობახიძე - 01/01/1979

სამუშაო გამოცდილება

30/07/2019-დღემდე, შპს „თბილისი ენერჯი“, გენერალური დირექტორი

5/11/2018-30/07/2019 - შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, გენერალური დირექტორი

22/11/2017-25/01/2019 - შპს „თბილისის სატრანსპორტო ჯგუფი“, გენერალური დირექტორი

18/11/2016-05/12/2017 - შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, სპეციალური მმართველი

30/10/2015-25/12/2017 - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“, დირექტორი

11/11/2008-03/07/2015 - შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების ჯგუფი“, გენერალური დირექტორი

24/09/2007-11/11/2008 - შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, მომარაგებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

შპს „თბილისი ენერჯი“ მმართველობის ანგარიშგება


განათლება და კვალიფიკაცია

2011 წელი - დანია, ჯგუფი „რამბოლი“ მაგისტრალური მილსადენების უსაფრთხოების ზონებისთვის რისკის შეფასების საანგარიშო მეთოდოლოგიის შესწავლა, მაგისტრალური მილსადენების მშენებლობით და ექსპლუატაციით გამოწვეული რისკების შეფასების სპეციალისტი.

2000-2002 წლები - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; კომერციის ფაკულტეტი (საქონელმომოქცევის ეკონომიკა), ეკონომიკის მაგისტრი.

1996-2000 წლები - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; კომერციის ფაკულტეტი (ვაჭრობის ეკონომიკა და მარკეტინგი), ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრი.

II. სტრუქტურა



მომსახურების ცენტრები

შპს „თბილისი ენერჯი“ აქვს 9 მომსახურების ცენტრი: ისანი-ვაზისუბნის მომსახურების ცენტრი, სამგორი-ვარკეთილის მომსახურების ცენტრი, გლდანი-სანჯონა-თემქის მომსახურების ცენტრი, დილომი-დიდუბის მომსახურების ცენტრი, ჩუღურეთი-ნაძალადევის მომსახურების ცენტრი, საბურთალო-ნუცუბიდის მომსახურების ცენტრი, ვაკე-წყნეთის მომსახურების ცენტრი, მთაწმინდა-კრწანისის მომსახურების ცენტრი და კომპანიის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული მოქალაქეთა მომსახურების სივრცე, რაც

შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება

მომხმარებლებს საშუალებას აძლევს მომსახურება მიიღონ იმ უბანში, რომელიც მათთვისაა კომფორტული.

III. 2022-2025 წლების სტატისტიკა

ცხრილი #1 შესყიდული გაზის მოცულობები


მაჩვენებელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
ბუნებრივი გაზის მიღება მ³	799 142 778	780 521 851	858 010 353	881 484 930
ბუნებრივი გაზის რეალიზაცია მ³	731 602 939	718 049 001	791 337 699	811 294 073
სულ დანაკარგი მ³	33 030 466	30 132 316	31 834 014	34 984 527
სულ დანაკარგი %	4.14%	3.87%	3.72%	3.97%

ცხრილი #2: აბონენტების რაოდენობა

კატეგორია	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
საყოფაცხოვრებო	516 424	534 553	553 515	599 101
არასაყოფაცხოვრებო	20 007	20 896	22 191	23 414
სულ	536 431	555 449	575 706	622 515

კომპანიის აბონენტების საერთო რაოდენობა ბოლო 4 წლის განმავლობაში 16.05%-ით გაიზარდა.

ცხრილი #3: მომხმარებლების ზრდის დინამიკა 2022-2025 წლებში



IV. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

შპს „თბილისი ენერჯი“ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხს და მას განიხილავს, როგორც გრძელვადიან პროგრამას და საქმიანობის განუყოფელ ნაწილს. განსაკუთრებით ეს ეხება თანამშრომელთა განვითარებასა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესებას.

ადამიანის უფლებების დაცვა და კორუფციასთან ბრძოლა

ადამიანის უფლებები კომპანიის ხელშეკრულებების მიხედვით სრულად არის დაცული და უტოლდება საერთაშორისოდ აღიარებულ შრომის სტანდარტებს. დაცულია შრომის უსაფრთხოების წესები უმაღლესი სტანდარტებით, რაზეც მიუთითებს კომპანიისთვის მინიჭებული ISO 14001; 45001 და 9001:2015 სერტიფიკატები, ასევე საერთაშორისო აუდიტის დასკვნები. დაცულია და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია მოყვანილი ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნები, რასაც ადასტურებს მინიჭებული ISO 27001:2013 სერტიფიკატი.

ამას გარდა, კომპანია ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, რომელიც უკავშირდება საქმიანობიდან გამოწვეული დაზარალებული პირებისთვის ზიანის ანაზღაურებას. ასევე, კომპანია უზრუნველყოფს დასაქმებულთათვის კორპორატიული სადაზღვევო პირობების შეთავაზებას და საბაზისო სადაზღვევო პაკეტების დაფარვას.

შპს „თბილისი ენერჯი“ მმართველობის ანგარიშგება

კომპანია მეტი გამჭვირვალობისთვის ყველანაირ გადარიცხვას უნაღდო ანგარიშსწორებით ახორციელებს. შესაბამისად, ყველა საბანკო გადარიცხვა ავტორიზებული ფინანსური ინსტიტუტების მიერ ხორციელდება, რაც გამორიცხავს კორუფციის არსებობას.

თანამშრომელთა განვითარებასა და მომსახურების ხარისხზე ზრუნვა

2025 წლის განმავლობაში ინტენსიურად განხორციელდა თანამშრომელთა დაგეგმილი და დაუგეგმავი გადამზადების პროგრამები.

ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა გარე გადამზადების ფარგლებში გაიარეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სასერტიფიკატო კურსი და მიიღეს ოფიცრის სერტიფიკატი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საბაზისო კურსის შესაბამისად გადამზადდა კომპანიაში დასაქმებული ახალი თანამშრომლები (123 თანამშრომელი).

საოფისე პოზიციაზე დასაქმებულმა თანამშრომლებმა (314 თანამშრომელი) გაიარეს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების სასწავლო კურსი.

დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიური სიახლეების გათვალისწინებით მომსახურების ცენტრის აღმრიცხველის, კონტროლიორის და ტექნიკოსის პოზიციაზე დასაქმებულმა 400-მა თანამშრომელმა გაიარა Microsoft 365-ის სერვისების (Teams, Outlook) გამოყენების შესახებ სწავლება.

სწრაფი რეაგირების სამსახურის (114) ოცდათექვსმეტმა ახალმა თანამშრომელმა გაიარა საკვალიფიკაციო სერტიფიცირების პროცესი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამისი ცენტრის აკრედიტირებული პროგრამის საფუძველზე მიიღო კომპეტენტურობის შესაბამისობის სერტიფიკატი 3 წლის ვადით. ასევე ჩატარდა (დაიწყო 2025 წლის დეკემბერში და გაგრძელდა მომდევნო პერიოდში) თანამშრომელთა შიდა გადამზადება ახალი სასწავლო პროგრამის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო ინსტრუქციების სრულ მიმოხილვას და პროცესში არსებული ტექნიკური აღჭურვილობისა და აპარატურის გამოყენების დეტალურ რეკომენდაციებს. გადამზადების ფარგლებში თანამშრომელთა სრულ შემადგენლობას ასევე ჩაუტარდა კომუნიკაციის მართვის მოდული, რაც უზრუნველყოფს ავარიული შემთხვევების კვალიფიციურად მართვის პროცესს.

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

სწავლების წლიური პროგრამის შესაბამისად, პროფესიული გადამზადების განმეორებითი პროცესი გაიარა მომსახურების ცენტრის ტექნიკოსის, უფროსი ტექნიკოსის, აღმრიცხველის და კონტროლიორის პოზიციებზე დასაქმებულმა თანამშრომლებმა (445 თანამშრომელი). აღნიშნულ პოზიციებზე, დაკავებულ თანამდებობაზე განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების პროცესი ხორციელდება დადგენილი პერიოდულობით (3 წელი), რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა საჭირო კვალიფიკაციას და გაუმჯობესებულ საერთო შედეგებს საქმიანობაში.

2025 წლის განმავლობაში უწყვეტად ხორციელდებოდა კომერციული დეპარტამენტის, ტექნიკური მიმართულებით არსებული სამსახურებისა და მომხმარებლებთან ურთიერთობის დეპარტამენტის საწყის პოზიციებზე მიღებული ახალი თანამშრომლების (106 თანამშრომელი) პროფესიული მომზადებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების პროცესი.

ასევე, განხორციელდა თანამშრომელთა დამატებითი გადამზადების პროცესი, რაც განპირობებული იყო სამუშაო პროცესში გამოკვეთილი ახალი საჭიროებებით. აღნიშნული ტიპის გადამზადებები განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

კომპანიის მენტორმა თანამშრომლებმა (37 მენტორი), სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით გაიარა სწავლება, კომპანიაში მოწვეული დარგის სპეციალისტის ხელმძღვანელობით. სასწავლო თემატიკა ითვალისწინებდა საკითხებს ზრდასრულთა სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების შესახებ, რაც დაეხმარება ტრენერებს / მენტორებს სპეციალური ცოდნის ეფექტურად გადაცემისა და კომპანიის მართვის პროცესის გაუმჯობესებაში.

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ინსტრუქტაჟების სავალდებულო სწავლება ხორციელდებოდა მთელი წლის განმავლობაში. სწავლებები ჩატარდა კანონმდებლობით განსაზღვრული პერიოდულობითა და მონაწილეობდა კომპანიის თანამშრომელთა სრული შემადგენლობა, ტექნიკურ პერსონალთან ინსტრუქტაჟი ჩატარდა პირისპირ შეხვედრის ფორმატში, თვალსაჩინოებისა და სიმულაციური სწავლების გამოყენებით, რაც უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერაა საველე-ტექნიკური სამუშაოების შემსრულებელი თანამშრომლების მომზადების პროცესში.

2025 წლის განმავლობაში გაგრძელდა თანამშრომელთა სწავლებისა და სტაჟიორთა

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

მომზადების პროცესში, მიზნობრივი ჯგუფის სიმულაციურ ლაბორატორიში სწავლების მეთოდი, რაც არის მნიშვნელოვანი საფუძველი კვალიფიციური კადრების მომზადების და გადამზადების პროცესის უზრუნველსაყოფად.

ვინაიდან კომპანიის საქმიანობა სპეციფიურ კვალიფიკაციას და ცოდნას მოითხოვს, კომპანიის მიზანია მისცეს ყველა დასაქმებულს პროფესიული ზრდის და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა. დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირება, უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას და ზრდის მომსახურების ხარისხს, რაც დადებითად აისახება საქმიანობის საერთო შედეგებზე და განაპირობებს თანმიმდევრული და უწყვეტი განვითარების პროცესს.

გრძელდება უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, პერიოდულად ხორციელდება სპეციფიკურ ტექნიკურ პოზიციებზე მყოფი სტუდენტების პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობა და დუალური პროგრამების განხორციელება.

2025 წელს უწყვეტად მიმდინარეობდა სწავლების პროცესის კვლევა, რომლის მიზანია სწავლებაში მონაწილე თანამშრომლებისგან უკუკავშირის მიღება, რაც იძლევა შესაძლებლობას სწავლების პროცესში ეფექტური და საჭირო ცვლილებების განხორციელებისათვის და საბოლოო ჯამში, გვაძლევს რეალურ და პრაქტიკულ საჭიროებებზე მორგებულ, ეფექტურ სისტემას.

კვლევის შინაარსი ასევე ითვალისწინებს სწავლებაში მონაწილე მენტორებისა და გამოყენებული სასწავლო რესურსების თემატიკასთან შესაბამისობის შეფასებას, რაც მნიშვნელოვანი უკუკავშირია პროცესის გაუმჯობესებისათვის.

2025 წლის მეორე ნახევრიდან, მომხმარებლის კაბინეტში დაემატა ახალი ფუნქციონალი, კატეგორია - „ვაკანსიები“ (კომპანიის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების ჩამონათვალი აქტიური ვადის მითითებით), რომელიც იძლევა ახალ შესაძლებლობას დასაქმების მსურველი პირებისათვის. კომპანიაში დასაქმების მსურველ პირს შეუძლია ელექტრონულად შეავსოს განაცხადის ფორმა, რაც ამარტივებს სასურველ ვაკანსიაზე კანდიდატის განხილვისთვის საჭირო სრულყოფილი ინფორმაციის გადმოგზავნის პროცესს. განახლებული ფუნქციონალი ასევე იძლევა შესაძლებლობას მომხმარებელმა ნახოს მის მიერ ვაკანსიაზე გაგზავნილი ყველა

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

განაცხადი. პირადი კაბინეტიდან განაცხადის მიღების პროცესი ასევე მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

2025 წელს უწყვეტად მიმდინარეობდა მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის კვლევის სისტემატიური პროცესი, რის შედეგად ხდება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მომხმარებლების მიერ გამოკვეთილი საკითხებზე რეალურ დროში რეაგირებისთვის. კერძოდ, კომპანია ყოველდღიურ რეჟიმში სწავლობს მომხმარებელთა შეფასებებს და ახდენს დაუყოვნებლივ რეაგირებას მათი მხრიდან დაფიქსირებულ საკითხებზე.

დეტალურად იქნა შესწავლილი მომხმარებელთა მომართვები და შესწავლიდან გამომდინარე შედეგების მიხედვით შემუშავდა და დაინერგა მთელი რიგი ღონისძიებები ბიზნესპროცესების დახვეწისა და გამარტივებისათვის როგორც მომხმარებელთა, ისე კომპანიის საჭიროებების გათვალისწინებით.

სრულად ავტომატიზებული გახდა არარეგულირებულ დაკვეთებზე რეაგირების ტექნიკური ციკლი:

- შიდა ქსელის მოწესრიგება, ახალი დანადგარისთვის წერტილის დამატება, პროექტის კორექტირება;
- შიდა ქსელის მოწყობა;
- მრიცხველის და საცხოვრებელ სახლში არსებული ცენტრალური გაზსადენის გადაადგილება;
- ცენტრალური გაზსადენის გადაადგილება/რეკონსტრუქცია.

აღნიშნული განაცხადების რეგისტრაციისას შეყვანილი მონაცემების საფუძველზე:

- ავტომატურად, პროგრამულად გენერირდება ხელშეკრულებები გაზგამანაწილებელი ქსელის საინჟინრო ტექნიკური პროექტის მომზადებისა და სამონტაჟო სამუშაოს შესრულების შესახებ;
- ავტომატურად ითვლება:
 - დაკვეთების შესრულების ბოლო ვადები;
 - კომერციული წინადადებების შეთავაზების ბოლო ვადები.
- ერთიან სივრცეში მოექცა დაკვეთილი არარეგულირებული მომსახურებების ღირებულებისა და მათი გადახდის ინფორმაცია.

შპს „თბილისი ენერჯი“ მმართველობის ანგარიშგება

აღნიშნული ავტომატიზაციის პროექტი ითვალისწინებს არარეგულირებულ დაკვეთებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ავტომატურ დახარვეზებას მომსახურების საფასურის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში გადაუხდელობის გამო.

არარეგულირებული დაკვეთების შესრულების ტექნიკური ციკლის ავტომატიზებამ დახვეწა, სრულყოფილი და ოპერატიული გახადა მომსახურების პროცესი როგორც უშუალოდ მოქალაქეთა მომსახურებაში ჩართული თანამშრომლებისათვის, ასევე ტექნიკურ ციკლში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის.

ძირეულად განახლდა ქოლცენტრის პროგრამული უზრუნველყოფა და დაინერგა ახალი პროგრამა whiz.io, რამაც მოქნილი გახადა ზარების მომსახურების პროცესი და კომპანიას მისცა საშუალება თანამედროვე პლატფორმაზე დააშენოს ახალი მოდულები.

ქოლცენტრის ოპერატორების სამუშაო გრაფიკები გახდა მოქნილი - დაემატა ღამის ცვლისა და სარეზერვო ოპერატორები, აღნიშნულმა ეფექტური გახადა ვაკანტური ადგილების შევსების პროცესი, რამაც, თავის მხრივ, კომპანიას მისცა შესაძლებლობა კიდევ უფრო გაეუმჯობესებინა სახელმწიფო მარეგულირებლის მიერ ქოლცენტრის სტანდარტის შესრულების მაჩვენებელი.

კომპანიის ცხელი ხაზის ნომერზე 0322404004 ავტომოპასუხის მომსახურებაში დაემატა ახალი მომსახურება, კერძოდ, 0 ღილაკით შესაძლებელი გახდა სასწავლო ცენტრთან სამუშაო საათებში დაკავშირება.

ქოლცენტრის პროგრამაში ჩაშენდა Workforce Management (WFM) პროგრამული მოდული, რომელიც კომპანიას აძლევს საშუალებას არასტანდარტული გრაფიკით მომუშავე თანამშრომლების სამუშაო დრო მარტივად აღრიცხოს პროგრამულად, შექმნას ციკლები და ცვლები, აღრიცხოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესვენებები, სხვა სამუშაო და არასამუშაო აქტივობები.

აღნიშნული მოდული ასევე ითვალისწინებს ქოლცენტრის სარეზერვო ოპერატორებისათვის სასურველი სამუშაო გრაფიკის არჩევას. თავის მხრივ, სარეზერვო ოპერატორების საჭიროება ავტომატურად პროგრამულად ითვლება ძირითადი გრაფიკის დაგენერირების შემდეგ.

2025 წლის მანძილზე დაიგეგმა გრაფიკში შეყვანილი მონაცემების საფუძველზე სამუშაო დროის აღრიცხვის ტაბელის ავტომატური გენერაციის სამუშაოები.

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

შემუშავდა KPI ახალი სისტემა ქოლცენტრისათვის:

- ზარის მომსახურების დრო - პროგრამაში ჩაშენებული თითოეული მომსახურების კატეგორიისთვის ცალ-ცალკე განისაზღვრება სამიზნე მაჩვენებელი (მოდასა და მედიანას შორის უდიდესი მონაცემი). ყველა შინაარსობრივი კატეგორიის KPI შეიკრიბება და გამოითვლება ზარის მომსახურების KPI. დაითვლება ზარის მომსახურებისთვის დახარჯული დროის მოდა, მედიანა და საშუალო მაჩვენებელი. KPI მუდმივად შედარდება გასული თვის სამიზნე მაჩვენებელს პროგრესი/რეგრესის განსაზღვრისა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისათვის;
- განმეორებითი ზარები - KPI დაითვლება ყველა შინაარსობრივი კატეგორიისათვის. 24 საათის ჭრილში: მობილურის ნომრით, აბონენტის ნომრით, ტელეფონის ნომრით და მომართვის შინაარსით ზარები დაიდენტიფიცირდება როგორც „განმეორებითი მომართვები“. დაგროვილი პრაქტიკისა და გამოცდილი ოპერატორების ფაქტობრივ მომსახურებაზე დაყრდნობით შემუშავდება განმეორებითი ზარების დაშვებული სტანდარტული პროცენტული მაჩვენებელი. KPI მუდმივად შედარდება გასული თვის სამიზნე მაჩვენებელს პროგრესი/რეგრესის განსაზღვრისა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისათვის;
- დარედაქტირებული მომართვები - KPI დაითვლება ყველა შინაარსობრივი კატეგორიისათვის და დაითვლის იმ გაფორმებული ზარების რაოდენობას, რომელსაც ოპერატორი მიუბრუნდა რედაქტირების მიზნებისათვის მას შემდეგ, რაც დაასრულა საუბარი და ზარის დამუშავება. დაგროვილი პრაქტიკისა და გამოცდილი ოპერატორების ფაქტობრივ მომსახურებაზე დაყრდნობით, დადგინდება რედაქტირებების სტანდარტული პროცენტული მაჩვენებელი. KPI მუდმივად შედარდება გასული თვის სამიზნე მაჩვენებელს პროგრესი/რეგრესის განსაზღვრისა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისათვის;
- გამოტოვებული ზარები - KPI დაითვლება ყველა შინაარსობრივი კატეგორიისათვის ერთობლივად და ის დამოკიდებული არ არის ზარის შინაარსზე. გამოტოვებული ზარების დათვლის პრინციპისა და იმის გათვალისწინებით, რომ ოპერატორს აქვს პროგრამული შესაძლებლობა/ვალდებულება სწორად მონიშნოს პროგრამაში ყოფნის სტატუსი, KPI მიზნობრივი მაჩვენებელი თითოეული ოპერატორისთვის უნდა იყოს 0;

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

- პრეტენზიები/საჩივრები - ამჟამად ქოლცენტრის ოპერატორის/მომსახურების შესახებ ქოლცენტრში შემოსული პრეტენზიები ავტომატურად გადაეცემა მონიტორინგს მოკვლევისათვის. მოკვლევის შედეგების მიხედვით, კომპანია მსჯელობს დისციპლინური სახდელის საჭიროებასა და ზომაზე. ახალი KPI სისტემით, ოპერატორის მომსახურებაში რეგულაციებისა და ნორმების დარღვევის შემთხვევაში, ოპერატორს ექნება არჩევანის შესაძლებლობა:

- წინასწარ შემუშავებული დათქმებით შეუმცირდეს არსებული KPI რეიტინგი, რითაც გამოეთიშება საბონუსე სისტემას, თუმცა დაეკისრება ერთი საფეხურით ნაკლები სიმძიმის დისციპლინური სახდელი;
- შეინარჩუნოს KPI რეიტინგი და შესაბამისი პროცედურის დაცვით დაეკისროს დისციპლინური სახდელი.

ყველა ოპერატორის საბოლოო რეიტინგები იქნება პროგრამულად ქოლცენტრის ყველა თანამშრომლისთვის ხელმისაწვდომი.

თითოეულ ოპერატორს ექნება დეტალური პროგრამული ინდივიდუალური წვდომა იმ მაჩვენებლებზე, რომელთა საფუძველზეც დაუანგარიშდა რეიტინგი.

შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს შეეძლებათ სისტემური/გარე ფაქტორებით გამოწვეული დაბალი სარეიტინგო მაჩვენებლების (რომელთა გათვალისწინების შესაძლებლობა არ აქვს ოპერატორს) კორექტირება წინასწარ დადგენილი და შეთანხმებული წესით.

ასევე, იდენტური მიდგომებით, გამჭვირვალობის, სამართლიანობის პრინციპისა და შესაბამისი ფაქტობრივი პროგრამული მონაცემების საფუძველზე დამუშავდება ახალი KPI სისტემა მომსახურების სივრცეშიც.

ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებული ობიექტური მაჩვენებლები საშუალებას მისცემს მენეჯმენტს მოახდინოს შესაბამისი რეაგირება როგორც დადებითი მაჩვენებლების წახალისების, ასევე პირიქით, გამოსასწორებელი კომპონენტების იდენტიფიცირებისა და მათზე მუშაობის გაძლიერების მიზნით. ასევე თანამშრომლებს დაეხმარება დაიდენტიფიცირონ საკითხები, რომლებზეც უფრო მეტი ყურადღების გამახვილებაა საჭირო მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ თუ

შპს „თბილისი ენერჯი“ მმართველობის ანგარიშგება

კარიერულ ზრდას.

ახალი KPI სისტემა კომპანიას საშუალებას მისცემს გამოავლინოს თემატური ტრენინგების საჭიროებები (როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური), შეადგინოს თანამშრომელთა ინდივიდუალური განვითარების გეგმები, შეიმუშავოს ბონუსის გაცემის გამჭვირვალე სისტემა და საბოლოოდ, მუშაობის პროცესი გახადოს ხარისხზე ორიენტირებული, მამოტივირებელი, აზარტული, განმავითარებელი და საინტერესო.

შემუშავდა AI ჩატის დანერგვის პროექტი, რაც კომპანიის მომხმარებლებს საშუალებას მისცემს მათთვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხების მისაღებად პირდაპირი წვდომა ჰქონდეთ კომპანიის მონაცემთა ბაზებზე პერსონალური მონაცემების დაცვის საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტების დასაცავად გატარებული ღონისძიებები

შპს „თბილისი ენერჯის“ შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ISO მენეჯმენტის სამსახურის მიერ 2025 წლის განმავლობაში შრომითი სტანდარტების დაცვასთან დაკავშირებით გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- 2025 წლის დეკემბერში, დასახული გეგმის შესაბამისად, კომპანიამ წარმატებით გაიარა TUV-SUD-ის აუდიტორის მიერ განხორციელებული საკონტროლო აუდიტი საერთაშორისო სტანდარტებთან: ხარისხის მართვის სისტემა ISO 9001; გარემოსდაცვითი მართვის სისტემა ISO-14001 და სამუშაო გარემოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემა ISO-45001 მიმართებით. აუდიტზე არც ერთ პროცესთან და დოკუმენტირებული ინფორმაციის მართვასთან დაკავშირებით შეუსაბამობა არ გამოვლენილა. შესაბამისად, კომპანიამ დაადასტურა მენეჯმენტის სისტემების შენარჩუნება და გაუმჯობესება, რომლის საფუძველზეც მიენიჭა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატები სამივე სტანდარტის მიხედვით;
- შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ISO მენეჯმენტის მიერ წლის განმავლობაში, აუდიტის წლიური პროგრამის შესაბამისად, განხორციელდა ძირითადი და დამხმარე/მხარდამჭერი პროცესების შიდა აუდიტი (სულ 14 პროცესი). აქედან აბონენტთა

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

მომსახურების პროცედურის (PD-08) ფარგლებში, მარტის თვეში 7 მომსახურების ცენტრსა და მსხვილ მომხმარებელთა სამსახურში ჩატარდა დამოუკიდებელი გეგმიური აუდიტი, ხოლო ოქტომბრის თვეში შერჩევითობის პრინციპით, ასევე აუდიტის წლიური პროგრამის შესაბამისად განხორციელდა გეგმიური აუდიტები ისანი-სამგორი-ვაზისუბნისა და ვაკე-წყნეთის მომსახურების ცენტრებში. განხორციელებული აუდიტების დროს გამოვლენილი შეუსაბამოებები/გადახრები ასახული იქნა აუდიტის ანგარიშებში, რომლის საფუძველზეც დაინერგა და შესრულდა კორექცია/მაკორექტირებელი ღონისძიებები;

- განახლდა ადამიანური რესურსების მართვის (PD-01), მეტროლოგიის (PD-13), სწრაფი რეაგირების (PD-07) პროცედურები;
- განახლდა და გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა საგანგებო კრიზისულ სიტუაციების მართვასა და სამაშველო რეაგირების გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები;
- 2025 წლის დასაწყისში შემუშავდა შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ინსპექტირების წლიური პროგრამა, რომლის საფუძველზეც განსაზღვრული პერიოდულობით მოწმდება კომპანიის სტრუქტურული ერთეულები, შენობა-ნაგებობები, ტექნიკური ჯგუფები, ინვენტარის მდგომარეობა და ა.შ. ინსპექტირებები ტარდება PD-11 შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის პროცედურის დანართების/აქტების შესაბამისად;
- ვინაიდან, შპს „თბილისი ენერჯი“ საქმიანობა მიეკუთვნება ძალიან მაღალი რისკის სექტორს, კანონმდებლობით განსაზღვრული პერიოდულობით, დოკუმენტირებულად ფასდება სამუშაო სივრცის რისკები. კომპანიაში სამუშაოების განსხვავებული სპეციფიკიდან გამომდინარე რისკები ფასდება ინდივიდუალურად, კერძოდ, ცალკეული პოზიციებისთვის (ტექნიკური მიმართულება, საოფისე საქმე, სამეურნეო საქმე და ა.შ.) და შენობა-ნაგებობებისთვის;
- სამსახურის მიერ ყოველწლიურად ფასდება გარემოსდაცვითი ეკოლოგიური რისკები;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობის შესაბამისად, კომპანიის ყველა თანამშრომელს, პოზიციების მიხედვით, ჩაუტარდა შრომის უსაფრთხოების ტრენინგები შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტების მიერ;

შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება

- საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ხდება სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვა, მოკვლევა და ანგარიშგება;
- ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ტრანსპორტის მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე დასაქმებულ პირებს ჩაუტარდათ პერიოდული სამედიცინო შემოწმება;
- წლის მანძილზე რამდენიმე ლოკაციაზე, საოფისე სივრცეებში, შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა სამუშაოები. სამუშაოების წარმოება განხორციელდა შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ISO მენეჯმენტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით;
- შრომის უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, პერიოდულად მოწმდება კომპანიის სარგებლობაში არსებული შენობები და ტექნიკური ჯგუფები;
- მიმდინარეობს მონიტორინგი მაღალი წნევის ბალონების უსაფრთხოდ დასაწყობებისთვის და ტრანსპორტირებისთვის - ტექნიკური ჯგუფების ავტომობილებში მოწყობილია სპეციალური სამაგრები. ასევე, მოწყობილია ბალონების უსაფრთხოდ შენახვისათვის სპეციალური ადგილები;
- ნაწილობრივ განახლდა ავტოპარკი;
- განახლდა ტექნიკური პერსონალის ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები;
- სამსახურის რეკომენდაციით განახლდა სამუშაო იარაღები ტექნიკური ჯგუფებისათვის;
- სამუშაო გარემოს უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, საჭიროებიდან გამომდინარე, შეიცვალა ავეჯი, ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.

V. პროგრამული უზრუნველყოფა

2025 წელს განხორციელდა შემდეგი პროგრამული პაკეტების დანერგვა:

- Access- ში არსებული პროგრამების განახლება:
 - მობილური ნომრების მართვის პროგრამა;
 - GRP/RD ნუმერირების პროგრამა.
- PowerBi -ის რეპორტების Embed პროგრამებში გამართვა;
- ვაკანსიების მართვის/განთავსების პროგრამა my.te.ge;
- ცვლილებები TE პროგრამაში;
- სადისპეტჩეროს SMS ების გადაბმა ქოლ ცენტრის პროგრამასთან და რეპორტები;
- backup ის მრიცხველების მოდულების ინტეგრირება;
- Goldcard -ის Nb-IOT მრიცხველის ინტეგრირება;
- ტექნიკოსების ახალი ვერსია;
- Zenner- ის Nb-IOT მრიცხველის ინტეგრირება;
- HoneyWell- ის Nb-IOT მრიცხველის ინტეგრირება;
- ჭკვიანი მრიცხველების პორტალი ;
- წყვეტების რუკაზე განგაშების ზღვრების მართვის მოდული;
- კანცელარიის პროგრამების განახლებები;
- შვებულებაში ან ბიულეტენში მყოფი თანამშრომლების მომხმარებლების პროგრამაში არ შესვლაზე კონტროლის მოდულის დამატება;
- უფროსის მიერ შვებულებაში მყოფი ხელქვეითზე დავალების დაწერის მცდელობისას უფროსის გაფრთხილების მოდულის დამატება;
- კანცელარიის პროგრამაში არარეგულირებულ დაკვეთებზე გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაცია/მართვის მოდულის დამატება.

VI. 2026 წლის გეგმები და რისკები

2026 წლის ინვესტიციები

კომპანია მიზნად ისახავს 35 მლნ ლარის ინვესტიციის განხორციელებას. ეს ინვესტიციები მათ შორის, მოხმარდება ამორტიზებული მილსადენების რეაბილიტაციას და ამ სამუშაოებისთვის საჭირო მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენას. ასევე გაგრძელდება მრიცხველების გარეთ გამოტანის პროცესიც. კომპანიამ უკვე მოახდინა ბუნებრივი გაზის დანაკარგის მნიშვნელოვნად შემცირება, რომლის მთავარი გამომწვევი ფაქტორიც ამორტიზებული და დაზიანებული გაზის მილების აღდგენა ან ახლით ჩანაცვლება იყო. თუ კომპანიას სურს, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს გაზის დანაკარგი და ასევე შეამციროს გარემოს დაბინძურების მაჩვენებელი, მან უნდა განაგრძოს ქსელის განახლებისთვის ინვესტიციების განხორციელება.

ტექნიკური მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები

2026 წელს დაგეგმილია 81 საინვესტიციო პროექტის განხორციელება, რომელიც მოიცავს გაზსადენების სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო და ახალი ქსელების სამშენებლო სამუშაოებს.

ადმინისტრაციული მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები

2026 წელს იგეგმება მომსახურების ხარისხის კვლევა, როგორც ადგილზე გაწეული მომსახურების, ასევე მომართვის სხვადასხვა არხებით მომხმარებლების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭიროებების დადგენის მიზნით.

ქოლცენტრის მომსახურების ხარისხის კვლევისთვის 2026 წელს ასევე დაინერგება.

ქოლცენტრის ოპერატორების მომსახურების ხარისხის პროგრამული კვლევა, რომელიც გულისხმობს ქოლცენტრში შემოსული ზარის მომსახურების დასრულების შემდეგ მოქალაქესთან ავტომატურ უკუკავშირს და მომსახურების ხარისხის შეფასებას წინასწარ დამუშავებული კითხვარის მიხედვით.

2026 წელს იგეგმება ქოლცენტრის განახლებული პროგრამის ფარგლებში ახალი მოდულების დანერგვა. კერძოდ, შემუშავდა ხელოვნური ინტელექტის ჩატი მოდული. AI ჩატი გააერთიანებს მომართვის შემდეგ არხებს:

შპს „თბილისი ენერჯი“ მმართველობის ანგარიშგება

- კომპანიის Facebook გვერდის ჩატს;
- ვებგვერდის ონლაინ დახმარებას;
- პირადი კაბინეტის ჩატს.

კომპანიის ყველა საჭირო სისტემასთან ინტეგრირებული AI, ოპერატორის ჩართულობის გარეშე, უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების მომსახურებას კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ხელოვნური ინტელექტის პასუხებისა და ქცევის მთავარი წყარო იქნება ადმინისტრატორის პანელში არსებული სტრუქტურირებული ცოდნის ბაზა და დათქმები, რომლებიც განსაზღვრავენ წესებს და პირობას, რომლებსაც AI დაემორჩილება. ადმინისტრატორის პანელით ასევე შესაძლებელი იქნება შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე კითხვებისა და პასუხების ავტომატური გენერირება, საჭიროების შემთხვევაში შემდგომი რედაქტირებით.

ხელოვნური ინტელექტის ამგვარი არქიტექტურა დააჩქარებს დაინტერესებული პირების დახმარების ავტომატიზაციას, ხოლო დამატებით, მის ფუნქციურ გამოყენებას შეძლებენ კომპანიის თანამშრომლებიც, როგორც განახლებულ, დარედაქტირებულ გზამკვლევს კომპანიის მომსახურების სფეროში.

აღნიშნული მნიშვნელოვნად დახვეწავს და გააუმჯობესებს კომპანიის მომსახურების ხარისხს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ხელს შეუწყობს კომპანიას შეასრულოს, შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის მიერ დაწესებული ქოლცენტრის სტანდარტი.

მოდული აგრეთვე აღჭურვილი იქნება რეპორტირების სისტემით, რომელიც მისცემს კომპანიას საშუალებას დააკვირდეს მომხმარებლის ქცევას და დაკვირვების შედეგებზე დაფუძნებით მიიღოს ბიზნესპროცესების გამარტივებისა და გაუმჯობესების გადაწყვეტილებები.

2026 წელს ასევე დაგეგმილია ქოლცენტრის KPI მაჩვენებლების მოდულის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს როგორც პრობლემური პროცესებისა და საკითხების ობიექტურად და ოპერატიულად დაიდენტიფიცირებას, ასევე გახდება დასაქმებულის მოტივირებისთვის აუცილებელი ხელსაწყო.

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

კომერციული მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები

მომხმარებელთა უსაფრთხო გაზომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით 2026 წელს გეგმიური შემოწმება დაგეგმილია 623 580 მომხმარებელთან.

2026 წელს მთაწმინდა-კრწანისის მომსახურების ცენტრის მიერ დაგეგმილია 10 000-მდე მრიცხველის გარე პერიმეტრზე გამოტანის სამუშაოები.

ქსელში არსებული ძველი მრიცხველები, რომლებსაც დიდი ხანია გასული აქვს ექსპლუატაციის ვადები ვერ უზრუნველყოფენ ფაქტობრივად მოხმარებული გაზის მოცულობის სრულყოფილად აღრიცხვას. გამომდინარე აქედან აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით მნიშვნელოვანია შეიცვალოს ქსელში არსებული ძველი მრიცხველები. 2026 წლის პერიოდში დაგეგმილია 30 000 – ზე მეტი ექსპლუატაცია ვადაგასული მრიცხველის გამოცვლა.

2026 წელს, საჭირო ფინანსური რესურსების მოძიების შემთხვევაში, პრობლემურ აბონენტებთან დაგეგმილია 1500-მდე ჭკვიანი მრიცხველის დამონტაჟება, რაც სრულად უზრუნველყოფს მათ მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის მოცულობების დისტანციურად აღრიცხვის შესაძლებლობას.

გამანაწილებელ ქსელში არსებულ მრიცხველებზე საკომუნიკაციო მოდულების დამონტაჟება იძლევა მოხმარებული ბუნებრივი გაზის მოცულობის დისტანციურ რეჟიმში აღრიცხვის შესაძლებლობას. ამ კუთხით, 2026 წლის განმავლობაში დაგეგმილია არსებულ 2000-მდე მრიცხველზე აღნიშნული „ჭკვიანი“ მოწყობილობების დამონტაჟება. პირველ ეტაპზე მოდულების დამონტაჟება დაგეგმილია მსხვილ კომერციულ სექტორში. აღნიშნული უზრუნველყოფს ხარჯების საათურ ჭრილში კონტროლის შესაძლებლობას, ამასთან მნიშვნელოვნად დაზოგავს შრომით რესურსს.

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები

2026 წელს იგეგმება რამდენიმე პროგრამული პაკეტის დანერგვა:

- მილსადენების ინტერაქტიული რუკის პროექტი;
- SmartTime ფუნქციონალის გადატანა ახალ HR-ის პროგრამაში;
- დოკუმენტბრუნვის ახალი პროგრამა - Work to be carried out for the division of the company;
- Access-ში არსებული პროგრამების განახლება - ასფალტის ოდენობის მართვის პროგრამა;
- ბილინგის პროგრამული უზრუნველყოფის მოდიფიკაციები და განახლებები, სერვისების მიერთება ახალ ბილინგზე;
- მანომეტრების წნევის საზომი აპარატების დაყენება ქსელში და მონაცემების შეგროვება;
- აღმრიცხველების პროგრამაში ცვლილებები;
- ტექნიკოსების პროგრამის ვერსია 3;
- AI ინტეგრაციები;
- ქოლ ცენტრის AI ხმოვანი ასისტენტის სერვისები;
- კომპანიაზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელი დოკუმენტბრუნვის მართვის/კონტროლის მოდულის დამატება.

სავალუტო რისკი

კომპანიის საქმიანობისთვის კვლავ მატერიალურ გამოწვევად რჩება სავალუტო რისკი. ვინაიდან ბუნებრივი გაზის შესყიდვა სრულად იმპორტზეა დამოკიდებული, ეროვნული ვალუტის კურსის მერყეობა პირდაპირ გავლენას ახდენს პროდუქტის თვითღირებულებაზე. ამასთან, შპს „თბილისი ენერჯის“ სამომხმარებლო ტარიფი რეგულირდება სემეკ-ის მიერ. ტარიფის კორექტირების მკაცრად განსაზღვრული პროცედურები ზღუდავს ბაზარზე მყისიერი რეაგირების შესაძლებლობას, რაც ზრდის დროებითი ფინანსური დანაკარგების წარმოშობის ალბათობას.

შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება

VII. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2024-2025 წლებში

რიცხვები წამოდგენილია ათასებში

ცხრილი #4: სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2025	2024	ცვლილება
შემოსავალი	503,640	486,662	3.49%
ბუნებრივი გაზის თვითღირებულება	-327,513	-315,527	3.80%
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-47,168	-39,623	19.04%
ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების დანახარჯები	-13,422	-13,053	2.83%
ცვეთა და ამორტიზაცია	-22,298	-18,846	18.32%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი ანარიცხები	-496	554	-189.53%
სხვა საოპერაციო ხარჯები	-23,645	-21,461	10.18%
საოპერაციო მოგება	69,098	78,706	-12.21%
ფინანსური შემოსავალი	482	779	-38.13%
ფინანსური დანახარჯები	-8,426	-11,123	-24.25%
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი, წმინდა	-755	-59	1,179.66%
სხვა შემოსავალი	1,131	739	53.04%
სხვა ხარჯები	-1,025	-410	150.00%
მოგება დაბეგრამდე	60,505	68,632	-11.84%
მოგებიდან გადასახადი	-1,197	-297	303.03%
წლის მოგება	59,308	68,335	-13.21%
წლის სხვა სრული შემოსავალი	—	—	
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	59,308	68,335	-13.21%

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ბუნებრივი გაზის შესყიდვა და ქ. თბილისში კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო მომხმარებლებზე მიწოდება/განაწილება. ძირითადი საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2025 წელს შეადგინა მთლიანი შემოსავლის 93% (2024 წელს: 94%).

2025 წელს კომპანიის შემოსავალი 2024 წელთან შედარებით 3.49%-ით გაიზარდა და 503,640 შეადგინა, რაც ძირითადად აბონენტების რაოდენობის ზრდითა და შესაბამისად, ბუნებრივი გაზის რეალიზაციის მოცულობის მატებით იყო განპირობებული. ამონაგების ზრდის შესაბამისად, 3.80%-ით გაიზარდა ბუნებრივი გაზის თვითღირებულებაც და 327,513 შეადგინა.

შპს „თბილისი ენერჯი“ მმართველობის ანგარიშგება

ბუნებრივი გაზის თვითღირებულებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის მერყეობა, ვინაიდან გაზის შესყიდვა დოლარში, ხოლო რეალიზაცია ლარში ხორციელდება. თუმცა, 2025 წელს ლარის კურსი დოლართან მიმართებით არსებითად არ გაუფასურებულა, რის გამოც თვითღირებულების ზრდა ძირითადად რეალიზაციის გაზრდილი მოცულობით იყო განპირობებული.

გაიზარდა თანამშრომელთა ხელფასები და სარგებელი 19.04%-ით, რაც უკავშირდება როგორც შრომის ბაზრის ზოგად ტენდენციებს, ისე კომპანიის პერსონალის წახალისების პოლიტიკას. ასევე, 18.32%-ით გაიზარდა ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი, რაც ძირითადად დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების განახლებასა და დამატებით ინვესტიციებთან ინფრასტრუქტურაში.

2025 წელს ფინანსური დანახარჯები 24.25%-ით შემცირდა 2024 წელთან შედარებით. აღნიშნული ფინანსური დანახარჯები ძირითადად მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს.

2019 წლის განმავლობაში მშობელმა საწარმომ ქართული კომერციული ბანკებიდან მიიღო რამდენიმე სესხი, რომელთა სრული თანხა მიღებულ იქნა მშობელი საწარმოს მიერ. თუმცა, ვინაიდან კომპანიაც და მშობელი საწარმოც მოხსენიებულია როგორც მსესხებელი, ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნულ შეთანხმებებში კომპანიის მონაწილეობა აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც სხვა ფინანსური ვალდებულება.

დამატებით, 2025 წლის 31 დეკემბერს კომპანიამ ქართული კომერციული ბანკიდან მიიღო 1,800,000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი, რომლის დაფარვის ვადაა 2029 წლის 23 თებერვალი.

2025 წელს საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი გაიზარდა და შეადგინა 755 ლარი (2024 წელს: 59 ლარი). ეს ზრდა ძირითადად დაკავშირებულია ევროში დენომინირებულ ვალდებულებებთან, რომლებიც კომპანიის მიერ აღიარებულია სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. 2025 წელს ლარის გაუფასურებამ ევროსთან მიმართებით აღნიშნულ ვალდებულებებზე საკურსო სხვაობის ზრდა გამოიწვია, რაც საბოლოოდ საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალის მატებაში აისახა.

შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის განმავლობაში კომპანიამ მშობელ საწარმოზე გაანაწილა დივიდენდი 6,785 ლარის ოდენობით (2024: 1,684 ლარი), შესაბამის გადასახადთან ერთად. შესაბამისად 2024 წელთან შედარებით გაიზარდა მოგების გადასახადი და შეადგინა 1,197 ლარი.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, 2025 წელს კომპანიის წმინდა მოგებამ 59,308 ლარი შეადგინა, რაც 13.21%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით.

შპს „თბილისი ენერჯის“ სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია 2026 წლის 17 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

მამუკა კობახიძე

ფინანსური დირექტორი

ბექან გურგენიძე


შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის განმავლობაში კომპანიამ მშობელ საწარმოზე გაანაწილა დივიდენდი 6,785 ლარის ოდენობით (2024: 1,684 ლარი), შესაბამის გადასახადთან ერთად. შესაბამისად 2024 წელთან შედარებით გაიზარდა მოგების გადასახადი და შეადგინა 1,197 ლარი.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, 2025 წელს კომპანიის წმინდა მოგებამ 59,308 ლარი შეადგინა, რაც 13.21%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით.


შპს „თბილისი ენერჯის“ სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია 2026 წლის 17 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



მამუკა კობახიძე

ფინანსური დირექტორი



ზენან გურგენიძე